სპორტი

სპორტული გაზეთი პარასკევი 16 ივნისი 2006 №136 (2758) ფასი 50 თეთრი

თავი და ჰკრაუჩი

ერიკსონის ახმახი ჩახმახი

რუნი, რუნი!



ეკვადორელი გოგონას ზარი ოჯახში: მერვეფინალში ვართ, ვრჩები!

გუშინწინ პოლონეთთან გამარჯვებული გერმანიის ნაკრების თვითმფრინავი დორტმუნდიდან ბერლინისკენ ფრენისას ჩამოვარდნას გადაურჩა. ბედად, ბუნდესნაკრები მშვიდობიანად დაეშვა მიწაზე და მშვიდობიანადვე გავიდა მერვეფინალში.

გავიდა ეკვადორიც — გუნდი, რომელიც მხოლოდ მეორედ თამაშობს მუნდიალზე. უფრო სწორად კი, ეკვადორელთა გასვლის მერე გაირკვა, რომ გერმანიაც გასულა. უფრო უცნაური ეგებ ის იყოს, რომ ეკვადორელები გერმანელებზე მეტი რიხით გავიდნენ ჯგუფიდან და ბოლო წუთამდე სულაც არ ყოფილან გოლის მოლოდინში.

ბოლო წუთებზე იხეირეს შვედეთმაც და ინგლისმაც, ოღონდ შვედთა ამბავი ჯერაც უცნობია, ინგლისს კი ახლა სულ სხვა რამ აინტერესებს — მერვეფინალში გერმანიას შეხვდება თუ ეკვადორს.

პოლონეთი, კოსტა რიკა და პარაგვაი — მათ მსოფლიოს ჩემპიონატზე ფორმალობებიღა ესაქმებათ.

ისე, ვერ გვივარჯიშებია პარაგვაი კარგად...



ინგლისს მერვეფინალში ეკვადორმა და გერმანიამ შეასწრეს

AFP

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

B ჯგუფი. II ტური

ანიბალი შვედურ მაგიდაზე შეჭამეს

AFP ბერლინიდან

მარკუს ოლბოკი კარლოს პარედესს ჰაერიდან ებრძვის

ვიდრე თამაშის აღწერას შევუდგებოდეთ, ჯერ ის გავიხსენოთ, რომ ლარს ლაგერბეკის გუნდმა, რომელსაც მუნდიალის დაწყებამდე ფავორიტთა რიცხვს მიაკუთვნებდნენ და რომელშიც ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ჰენრიკ ლარსონი და ფრედი ლიუნგბერგი თამაშობენ, ტრინიდადის თავგანწირულ ნაკრებს ვერაფერი მოუხერხა და მუნდიალის სადებიუტო მატჩი 0:0 დაასრულა. შეხვედრის შემდეგ ნახევარმცველმა კალსტრიომმა ჟურნალისტებს უთხრა: „ტრინიდადთან ოთხი-ხუთი ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. პარაგვაის თავს შევაკლავთ და ასეთი რამ აღარ განმეორდება“.

ასე იყო ტრინიდადთან.

რაც შეეხება ლაგერბეკის ბიჭების სამხრეთამერიკელებთან შერკინებას, ბერლინურ „ოლიმპიაშტადიონზე“ თავის შეკვლა, თავგანწირვა და რაიმე გმირული ეპოპეა არ ყოფილა. ტრიბუნებზე შეკრებილმა ნერვებდაწყვეტილმა ფანებმა ორი თითქმის ერთნაირი გუნდის მძიმე და თანაბარი ბრძოლა იხილეს. პარაგვაიმ ფრედერიკ ლიუნგბერგის ზუსტი თავურით წააგო და მუნდიალსაც დაემშვიდობა. სკანდინავიელებს კი 4 ქულა აქვთ და B ჯგუფის პირველ-მეორე ადგილების ამბავს 20 ივნისს, შვედი ერიკსონის მიერ დამოძღვრილ ინგლისთან ჯახში გაარკვევენ.

პირველი სახიფათო ეპიზოდი კალსტრიომმა შექმნა — ჩრდილოელთა ფეხბურთელმა, რომელიც პარაგვაელებთან მატჩამდე მოედანზე ძვლების დაყრით იმუქრებოდა, ძლიერად გაისროლა ბობადილიას კარის მიმართულებით. უფრო შვედები უტევდნენ, მატჩი კი ძალიან უხეში იყო და არბიტრ ლუბოშ მიხელსაც ხშირად უწევდა სტვენა... იბრაჰიმოვიჩს საწყის 20 წუთში რამდენჯერმე შეეძლო თავის გამოჩენა, თუმც ხან თამაშგარეში აღმოჩნდა, ხან მეტოქის მეკარის სისხარტემ შეუშალა ხელი და ხანაც თავად ვერ ივარგა...

თამაში სწრაფ ტემპში მიმდინარეობდა, თუმცა გუნდები ბოლო ეპიზოდებში სცოდავდნენ. შვედთა უპირატესობა იგრძნობოდა. ოღონდ, კონტრშეტევებზე ანიბალ რუისის გუნდიც სახიფათო იყო. 33-ე წუთზე სანტა კრუზმა ბურთი თავით შეაგდო სკანდინავიელების საჯარიმოზე, იქ ვალდესმა დაარტყა, მაგრამ უზუსტოდ.

შესვენებამდე 5 წუთით ადრე ნუნიესმა ააცილა მიზანს. გადის სულ მცირე ხანი და შვედების უიღბლო ფორვარდმა იბრაჰიმოვიჩმა გააცუდა ასპროცენტიანი საგოლე მომენტი — ბობადილიასთან პირისპირ გასულმა დარტყმისას ვერ ივარგა.

გუნდებმა ტაიმთშორისს უგოლოდ მიაკითხეს. შესვენებაზე შვედთა თავკაცმა ლაგერბეკმა ცვლილება გააკეთა — მეორე ტაიმში „ოლიმპიშტადიონზე“ თავგამოდებით, მაგრამ უსარგებლოდ მოჯირითე იბრაჰიმოვიჩის ნაცვლად ოლბოკი შეუშვა. გაუმართლა შვედ სპეციალისტს ცვლილებამ, მატჩის ბოლოს ოლბოკი რომ არ ყოფილიყო...

ნელსონ ვალდესს კი თამაშის განახლებისთანავე შეეძლო ტაბლოზე ანგარიში ამხრეთელთა საარგებლოდ აენთო, ოღონდ მიზანში ვერ მოარტყა. შემდეგ ფრედი ლიუნგბერგი წააქცია საჯარიმოსთან ახლოს აკუნიამ და ლარსონმაც გაისროლა საშინელი ძალით — ბობადილიამ დიდი გაჭირვებით უკუაგდო ექსბარსელონელი შვედის საჯარიმო დარტყმა.

ჩაუქი, მაგრამ მობერებული ჰენრიკი ხშირად იკარგებოდა ხოლმე — ომში, სადაც მინდვრის თითო გოჯს დიდი ფიზიკური ძალისხმევით იპყრობდნენ, ხელოვანი ლარსონი მიიჩქმალა... მატჩის ბლოს პარაგვაელები სულ უფრო ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას დაცვას და თამაშიც ერთმხრივი, ზუსტად ისეთივე ხდება შვედებმა. პირველ ტაიმში ძნელ მეტოქეს სწრაფი გოლის იმედით გააფთრებით რომ შეუტიეს... ერთადერთი და სკანდინავიელთათვის სანატრელი გოლი შეცვლაზე შესული ელმანდერის და ოლბოკის აქტიურობით გავიდა — მათ გაუწიეს ლიუნგბერგს საჭირო კომპანიონობა...

ფრედერიკ ლიუნგბერგი: „ტრინიდადთანაც და დღესაც ერთი პრობლემა გვქონდა: საგოლე მომენტებს ვერ ვიყენებდით, ბურთს კარში შესვლა არ უნდოდა. საბედნიეროდ, ამჯერად ნავსი გატყდა.“

როკე სანტა კრუზი: „ეფიქრობ, ურიგოდ არ გვითამაშია, ცდა არ დაგვიკლია, მაგრამ ბოლო ფაზაში მოვისუსტებდით“.

ლარს ლაგერბეკი: „ყოველი მოგება ფსიქოლოგიურად კარგად მოქმედებს. ფეხბურთელების განწყობა ამ მატჩის წინ ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე ტრინიდადთან შეხვედრისას. დღევანდელი გამარჯვება კი კიდევ უფრო შეკრავს გუნდს.

იბრაჰიმოვიჩს ფეხი ეტკინა, გარისკვა არ მსურდა და ამიტომ შევცვალე. მისი დახმარება მომდევნო მატჩებში დაგვჭირდება. ერთ-ორ დღეში გაირკვევა, რამდენად სერიოზულია ტრავმა.“

ზლატან იბრაჰიმოვიჩი: „ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მივიწევთ. მერვედფინალი ჯერ განაღდებული არ გვაქვს და ინგლისთან მოგებას ვაპირებთ. მართალია, ჩვენი მომავალი მეტოქე ძალიან ძლიერია, მაგრამ ჩვენ ისევ ისე გავაგრძელებთ, როგორც აქამდე“.

ინგლისი	2	2	0	0	3:0	6
შვედეთი	2	1	1	0	1:0	4
ტრინიდადი	2	0	1	1	0:2	1
პარაგვაი	2	0	0	2	0:2	0

შვედეთი 1:0 პარაგვაი

№20. 15 ივნისი. 23.00. ბერლინი. „ოლიმპიაშტადიონი“. 72 000 მაყურებელი

1:0 ლიუნგბერგი (89)



შეცვლა: იბრაჰიმოვიჩი – 20. ოლბოკი (46), რივეროსი – 19. დოს სანტოსი (62), სანტა კრუზი – 20. დ. ლოპესი (63), ვილჰელმსონი – 18. იონსონი (68), ბონეტი – 8. ე. ბარეტო (81), კალსტრიომი – 17. ელმანდერი (86)

გაფრთხილება: კანისა (3), ლინდეროტი (14), ლუკიჩი (48), აკუნია (51), ნუნიესი (54), ოლბოკი (60), პარედესი (74), ბარეტო (85)

მსაჯები: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი);
რომან სლისკო, მარტინ ბალკო (სლოვაკეთი)

19	ჯარიმა	15
6	კუთხური	3
17	ჯარისკენ დარტყმა	16
10	ჯარში დარტყმა	3
3	თამაშგარე	1

AFP ბერლინიდან

ნელსონ ვალდესის პარაგვაისთვის მსოფლიოს ჩემპიონატი დამთავრდა

თუ ორი ან მეტი გუნდი თანაბარ ქულებს დააგროვებს, უპირატესობა ენიჭება:
1 ურთიერთშეხვედრებს
2 ბურთების სხვაობას ურთიერთშეხვედრებში
3 ჯგუფში გატანილ გოლებს

დღეს. D ჯგუფი. II ტური

მექსიკა — ანგოლა

ჰანოვერი. „AWD არენა“. 23.00

1. ო. სანჩესი; 16. მ. მენდესი, 4. მარკესი, 5. ოსორიო, 3. სალიდო; 14. პინედა, 23. ლ. პერესი, 7. ზინია, 8. პარდო; 10. გ. ფრანკო, 19. ბრავო მწვრთნელი: რიკარდო ლავოლპე	1. ჟოაო რიკარდო; 20. ლოკო, 3. ჟამბა, 5. კალი, 21. დელგადო; 17. ზე კალანგა, 8. ანდრე მაკანგა, 7. ფიგეირედო, 11. მატეუში, 14. მენდონკა; 10. აკვა მწვრთნელი: ლუიშ გონსალვეში

მსაჯი: შამსულ მაიდინი (სინგაპური)

უგოლო ანგოლა

მექსიკას ქვეყნის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი ხარედ ბორგეტი დაუშავდა. იგი ჯგუფურ ეტაპზე ჯერ არ ითამაშებს. თუმცა რიკარდო ლპკოლპეს ეს ნაკლებად აღელვებს, ცხადია, დანაკლისია, მაგრამ ფორვარდები კიდევ ბლომად გვყავსო. არგენტინელის სქემა 5-3-2 იქნება. ირანთან დუბლის ავტორ ომარ ბრავოს შეტევაში გილერმო ფრანკო შეუწყვილდება. ძირითად შემადგენლობაში დაიწყებს და თავდამსხმელებს მიეხმარება ანტონიო ნელსონი, იგივე ზინია, რომელიც აზიელებთან შეცვლაზე შევიდა და ფაქტობრივად მატჩი მოიგო.

ანგოლას პორტუგალიასთან ცუდად არ უთამაშია, მაგრამ აფრიკელების მთავარი პრობლემა უგოლობაა. მიუხედავად ამისა, მათი მწვრთნელი ლუის გონსალვეში თავისას არ იშლის და ისევ 4-5-1-ით ითამაშებს. კინკილა ფორვარდი ანგოლელთა კაპიტანი აკვა იქნება, რომელმაც საჯაროდ ითხოვა, კიდევ რამდენიმე თავდამსხმელი გვყავს და ერთ-ერთი შემიწყვილეთო, მაგრამ...

რიკარდო ლავოლპე: „თუ ისე ვითამაშებთ, როგორც ირანთან მატჩის მეორე ტაიმში, ჩემპიონატზე წარმატებას მივაღწევთ“.

„გუნდში მშვენიერი განწყობაა და თუ მოვიგეთ, ფაქტობრივად მერვედფინალის საგაზურს გავინაღდებთ. თუმცა ეს დამაკმაყოფილებელი არ იქნება. იმედია, სულ მცირე, ნახევარფინალამდე მივაღწევთ“ — აღნიშნა მექსიკელთა კაპიტანმა რაფაელ მარკესმა.

ლუიშ გონსალვეში: „ბიჭებს ვუთხარი, რომ მხოლოდ დაცვაზე არ იფიქრონ და მოსაგებად ითამაშონ. მექსიკა ძალიან ძლიერია, მაგრამ შანსი გვაქვს“.

ჯოკი კანდელაკი

მექსიკა	1	1	0	0	3:1	3
პორტუგალია	1	1	0	0	1:0	3
ანგოლა	1	0	0	1	0:1	0
ირანი	1	0	0	1	1:3	0

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო
და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან
მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის
წამობრივი
აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

ნუ გამოტოვებთ გაღამწყვეტ გოლს!

სიახლე! ჯეოსელისა

GEO ჯეო

და ღამ-ღამის აბონენტთათვის.

გოლი

გააგზავნეთ SMS-ი ნომერზე 2006
და გამოიწერეთ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის განმავლობაში სრული ინფორმაცია ყველა მატჩისა და გატანილი გოლის შესახებ.

ფასი: 5 ლარი

აღნიშნული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ აქტიურ ნომრებზე.

ან ეწვიეთ Geogoli-ს wap.geocell.com.ge-ზე
და გადმოწერეთ:
ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის სხრილი,
მატჩების ანგარიშები,
ფეხბურთელების ფერადი სურათები,
გატანილი გოლების ვიდეო რგოლები,
ქვეყნის ჰიმნები.

ყველა, ვინც კი კარგ გოლს ელის ეთაგულია ჯეოსელის

FIFA WORLD CUP GERMANY 2006

www.geocell.ge

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

B ჯგუფი. II ტური

თავი და ჰკრაუჩი
რუნი, რუნი!



AFP ნიურნბერგიდან

ჯერ მთავარი: ინგლისი უკვე მერვედფინალშია, იქ კი ეკვადორს ან გერმანიას შეხვდება.

ინგლისს გუშინ შვედების დილემა უნდა გადაეჭრა — როგორ დავამარცხოთ ტრინიდადი. სიმართლე გითხრათ, გვეგონა, რომ ინგლისი ჰისლოპის კარს გასაღებს უფრო იოლად მოარგებდა, ვიდრე ეს სინამდვილეში მოახერხა. თავიდან ევროპელებმა რიხით დაიწყეს, ხარვეზები კი მოთელვად ჩავუთვალეთ.

ამ მონაკვეთის მთავარი მომენტი ის იყო, ჯო კოულის ფლანგურ ჩაწოდებას კრაუჩმა კარიდან ორიოდ მეტრში გრძელი ფეხი რომ დაუხვედრა, მაგრამ ჰისლოპმა კუთხურზე მოიგერია.

მერე ინგლისს სასტარტო რიხი გაუქრა, ერთი ხანობა საინტერესო არაფერი მომხდარა, ტაიმის ბოლოსკენ კი პოლ რობინსონმა აურია და ტრინიდადელებს ორი ბრწყინვალე შანსი მიეცათ. ინგლისელთა მეკარე ორჯერ გამოვარდა ბურთზე სულელურად, რითაც ჯერ შტერნ ჯონმა ვერ ისარგებლა, მერე კი — ტაიმის ბოლო წუთზე — ჯონ ტერიმ გამოიტანა ბურთი კარის ხაზიდან.

არ იქნება, საპირველტაიმო ამბების მოყოლისას კრაუჩი ერთხელაც არ ვახსენოთ — ბექემმა კარიდან რვა მეტრში ისეთი პასი გაუკეთა და თანაც კაციშვილი ხელს არ უშლიდა, ამ ახმახმა კი ისე საშინლად დაარტყა, ხალხმა ტრიბუნებიდან უმალ რუნი, რუნის ძახილი დაიწყო.

მეორე ტაიმში, როცა მოთმინების ძაფი გულშემატკივარსაც გაუწყდა და ერიკსონსაც, რუნი მოედანზე გამოვიდა, ოღონდ არა კრაუჩის, არამედ მაიკლ ოუენის ნაცვლად. იმ დროისთვის კი კრაუჩს ორიოდე სამეორეტაიმო მომენტის გაცუდებაც მოესწრო.

ამ ცვლილებამ, უფრო კი აარონ ლენონის შესვლამ, ინგლისელთა იერიშებს ძალა შემატა და, როგორც იქნა, ნანატრი გოლიც გავიდა. ბექემის უზუსტესი ჩაწოდება კრაუჩმა თავურით გოლად აქცია. ამან ტრინიდადელები, რასაკვირველია, გატეხა და მეორე გოლმაც არ დაახანა.

და რაკი რაც აქამდე მოვყევით, ალბათ თავადაც ნანახი გექნებათ, წასაკითხად უფრო საინტერესო მწვრთნელთა კომენტარები უნდა იყოს.

სვენ გორან ერიკსონი: 80 წუთის მანძილზე უამრავი მომენტი გვქონდა, მაგრამ არ გვქონდა იღბალი. ტრინიდადის და ტობაგოს გუნდი თავს რვა, ცხრა, ათი ფეხბურთელითაც კი იცავდა, რაც მათ კარში გოლის გატანას თითქმის შეუძლებელს ხდიდა. გარდა ამისა, მათ ბრწყინვალე დისციპლინა და ძალა აღმოაჩნდათ, თუმცა ჩვენც უდიდესი მოთმინების უნარი გამოვავლინეთ და სვსებით დამსახურებულად მოვიგეთ. ჩვენი ორივე გოლი შეუდარებელი იყო. კიდევ ვიტყვი, რომ, მართალია, ვერ გაიტანა, მაგრამ უეინ რუნის თამაშით კმაყოფილი ვარ. მისმა გამჯანმრთელებამ უზომოდ გამახარა. მერე რა, რომ ასი პროცენტით მზად არ არის, მას ხომ ექვსი კვირა არ უთამაშია. ის 30 წუთი, რომელიც დღეს მან მოედანზე გაატარა, ფორმის აღსადგენად ძალიან მნიშვნელოვანია. ახლა სასწრაფოდ შვედეთის წინააღმდეგ სათამაშოდ უნდა დაიწყოთ მზადება, ჩვენ ისინი დიდი ხანია, არ დაგვეთამაშებია და კარგი იქნება, ახლა თუ გავაკეთებთ ამას.

ლეო ბეენჰაკერი: უამაყობ ჩემი ფეხბურთელებით, მაგრამ, ბუნებრივია, იმედგაცრუებულიც ვარ ვიცოდით, რომ ინგლისთან სამაგალითო თავდაცვის და ჟინის ხარჯზე თუ მივაღწევდით წარმატებას. თუ ჟინით ვითამაშებდით, მეტოქეს გეგმებს ავურევდით და შეცდომების დაშვებას ვაიძულებდით. სიმართლე გითხრათ, ჩვენ ეს გამოგვდიოდა და ინგლისელები დროდადრო მოთმინებას კარგავდნენ. ბოლოს გოლი მაინც გავუშვით. დარჩენილ წუთებში რაიმეს გამოსწორება შეუძლებლად ჩანდა და ჟინიც გაგვიქრა. მეორე გოლიც ამის გამო გავუშვით. ძალიან საწყენია. თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ ინგლისმა დამსახურებულად გაიმარჯვა და წარმატებებს ვუსურვებ.

კოტე კეკელია

ინგლისი 2:0 ტრინიდადი

№19. 15 ივნისი. 20.00.ნიურნბერგი. „ფრანკენშტადიონი". 41 000 მაყურებელი

1:0 კრაუჩი (83), 2:0 ჯერარდი (90)



შეცვლა: ოუენი – 9. რუნი (58), კარაგერი – 19. ლენონი (58), ჯონსი – 13. გლენი (70), ჯ. კოული – 20. დაუნინგი (75), თეობალდი – 16. უაიზი (85)

გაფრთხილება: თეობალდი (18), უიტლი (19), ჯონსი (46), ჰისლოპი (47), გრეი (56), ლამპარდი (64)

მსაჯები: ტორუ კამიკავა; იოშიკაცუ ჰიროშიმა (იაპონია); დაე-იუნგ კიმი (კორეა)

15	კარიმა	19
7	კუთხური	3
23	კარისკენ დარტყმა	7
8	კარში დარტყმა	3
2	თამაშვარე	2

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

A ჯგუფი. II ტური

ეკვადორელთა მწვრთნელი
ლუის სუარესი
მერვედფინალში
და ისტორიაში მოხვდა

ეკვადორმა ისტორია შეიქმნა და ისტორიულს ელის

დავიღალეთ, მაგრამ გერმანია გვინდა

AFP

ეკვადორმა ჯგუფში მეორე თამაშიც მოიგო და გალიდერდა, მერვედფინალში გასვლა გაინაღდა და ბოლო ტურში გერმანიასთან ფრეც ჰყოფნის, რათა B ჯგუფის პირველადგილოსანს ასცდეს პლეი ოფში.

ეკვადორი კონმებოლიდანაა, თუმცა ნაკრებში მხოლოდ ორი კაცი ჰყავს, ევროპაში რომ თამაშობს — მცველი ულისეს დე ლა კრუზი „ასტონ ვილადან" და შუახაზელი ლუის ვალენსია ესპანური სეგუნდადივიზიონის „უელვადან". ერთი ოკეანისგალმელი კოსტა რიკასაც მოეძევება — იტალიური „ბრეშას" მცველი ჟილბერტო მარტინესი.

ეკვადორი კარიბელებზე ბევრად ფერადი გუნდი აღმოჩნდა და აქ მხოლოდ იმას არ ვგულისხმობთ, რომ ეკვადორელ მწვრთნელ ლუის სუარესს სტაფილოსფერი ჰალსტუხი ეკეთა, ხოლო მეკარე კრისტიან მორას ორივე ლოყაზე თავისი ქვეყნის დროშა ჰქონდა მიხატული — ეკვადორელებმა ლაღი, მხიარული და მძაფრი ფეხბურთი ითამაშეს — თითქოს იმის დამტკიცება სურდათ, პირველ ტურში პოლონეთს რომ მოვუგეთ, შემთხვევითობა სულაც არ ყოფილაო.

პირველ წუთებში კოსტა რიკას რაღაც ფხა ეტყობოდა, მაგრამ მერე ეკვადორმა ორწუთიანი შტურმისმაგვარი მოუწყო და გოლსაც გამორჩა — ლუის ვალენსიას მარჯვენიდან ჩაწოდებულს კარლოს ტენარიომ მძლავრი თავური მიაყოლა. ეს მისი მეორე გოლი იყო ამ მუნდიალზე.

ლუის სუარესის გუნდს არც ამის მერე ეტყობოდა რამე დაცხრომა-განცხრომისა, კვლავაც მეტოქეზე უფრო მხნე და მარჯვე იყო და, რომ არა კოსტარიკელი მეკარის ჩაუქობა, პირველ ტაიმში ერთხელაც გაიტანდა — ხოსე პორასმა რიკოშეტის შემდეგ სასწაული ბურთი მოიგერია.

თავისას ცდილობდა ტლანქი კოსტა რიკაც, შინაარსიან თამაშს ვერ ახერხებდა და მეტოქის შეცდომებზე იყო ჩასაფრებული. კონკაკაფელებმა პირველ ტაიმში ერთი სახიფათო იერიში მაინც მოახერხეს — დუგლას სეკეირას თავური ზუსტი ვერ იყო.

შესვენების შემდეგ ნიშანდობლივ ის შეიცვალა, რომ აუგუსტინ დელგადო აძიგძიგდა. ჯერ იყო და, მაკრატელასმაგვარი შეასრულა და ბურთი ხელებში შეაწყვიტა პორასს, მერე კი მახვილი კუთხიდან შეიჭრა საჯარიმოში, ძლიერადაც დაარტყა და 2:0.

კოსტა რიკას კოჭებში კი არა, ყველგან ეტყობოდა, თამაშის შემომბრუნებელი რომ არ იყო, მისი მეგოლე პაულო ვანჩოპეც ზანტად ირჯებოდა, თუმც კონკაკაფელებს საგოლე მომენტის გარეშე არ დაუტოვებიათ ჰამბურგული მინდორი — ალვარო საბარიომ ოსტატურად, მზაკვრულად ამოარტყა ცაცია ბურთს, რომლის ამღები არც ერთი მეკარე არ იყო. მაგრამ ბურთი ხარიხას მოხვდა.

თუ მეორე ტაიმის დასაწყისში დელგადო აბობოქრდა, ბოლოში ივან კავიედესის ჯერი დადგა. პირველ ცდაზე მან პორასს ვერ აჯობა, მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე კი ედისონ მენდესის პასით წერტილი დაუსვა კარიბელთა რბევას.

ეკვადორი პირველად გავიდა მუნდიალის მერვედფინალში.

კარლოს ტენორიო: ჩვენ ჯერ არაფრისთვის მიგვიღწევია, გვინდა, იმდენად შორს წავიდეთ, რამდენადაც ეს შეგვიძლია. ისეთი ბედნიერი ვარ, ამის ახსნაც არ შემიძლია".

ლუის სუარესი: „გერმანიასთან ძალიან ძნელი თამაში გველის, რადგან ფეხბურთელებს გადაღლას ვატყობ, მაგრამ მათში ვხედავ სურვილს, რომ გერმანიასთან ძალიან კარგად ითამაშონ. ეს ისტორიული მატჩი იქნება".

ალეშანდრე გიმარაეში: „როცა შანსს ვერ იყენებ, არავინ დაგინდობს. ასე დაგვემართა ამ ორ თამაშში".

პაულო ვანჩოპე: „მსოფლიოს ჩემპიონატზე 1990 და 2002 წლებშიც ვითამაშეთ, წლეულს კი ყველაზე უარესად. მაგრამ მაინც თავაწეულები უნდა ვიყოთ და საქმე გავაგრძელოთ".

დავით თავართქილაძე

ეკვადორი	2	2	0	0	5:0	6
გერმანია	2	2	0	0	5:2	6
პოლონეთი	2	0	0	2	0:3	0
კოსტა რიკა	2	0	0	2	2:7	0

ეკვადორი 3:0 კოსტა რიკა

№18. 15 ივნისი. 17.00. ჰამბურგი. „AOL არენა". 50 000 მაყურებელი

1:0 კ. ტენორიო (8), 2:0 დელგადო (54), 3:0 კავიედესი (90)

12 მორა

მწვრთნელი
ლუის სუარესი

4 დე ლა კრუზი
3 ურტადო
17 ესპინოზა
18 რეასკო

20 ე. ტენორიო
14 კასტილიო

8 ე. მენდესი
16 ვალენსია

11 ა. დელგადო
21 კ. ტენორიო

9 ვანჩოპე
11 რ. გომესი

10 სენტენო

12 ლ. გონსალესი
8 სოლისი

15 უოლესი
6 დ. ფონსეკა

20 სეკეირა
3 მარინი
4 უმანა

მწვრთნელი
ალეშანდრე გიმარაეში

18 პორასი

შეცვლა: ფონსეკა – 19. საბორიო (29), კ. ტენორიო – 10. კავიედესი (46), გონსალესი – 16. კ. ერნანდესი (56), ესპინოზა – 2. გუაგუა (69), ვალენსია – 6. ურეტა (73), სენტენო – 13. ბერნარდი (84)

გაფრთხილება: მარინი (10), სოლისი (28), კასტილიო (44), დე ლა კრუზი (54), მორა (60)

მსაჯები: კოფი კოჯა (ბენინი); სელესტინ ნტაგუნგირა (რუანდა), აბუდუ ადეროჯუ (ბენინი)

18	ჯარიმა	22
3	კუთხური	4
14	კარისკენ დარტყმა	12
7	კარში დარტყმა	4
3	თამაშგარე	2



თმის გადანერგვის კლინიკა
«ჰეალაინ ინტერნეიშნლ»

ხელმძღვანელი პროფ. თამაზ თამაზაშვილი

უყურე ფეხბურთს
ჩვენთან ერთად
და შედეგით
კმაყოფილი დარჩები

• უფასო კონსულტაცია, კონფიდენციალობა
• გარანტირებული შედეგები
• უახლესი ავტომატური ამერიკული ტექნოლოგიები

HAIRLINE INTERNATIONAL

მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის ასოციაციების მიერ სერთიფიცირებული

ერთადერთი კლინიკა ამიერკავკასიაში

ქავთარაძის 16 (სამკერვალო კომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62



www.hairline.ge

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

დღეს. C ჯგუფი. II ტური

სერბეთი არგენტინას: ვითამაშოთ კალათბურთი

რობერტო აიალა

ნიკოლა ჟიგიჩი

არგენტინა — სერბეთი

გელზენკირხენი. „აუფ შალკე“. 17.00

1. აბონდანსიერი; 21. ბურდისო, 2. აიალა, 6. ჰაინცე, 3. სორინი; 22. ლუჩო გონსალესი, 8. მასკერანო, 18. მაქსი როდრიგესი; 10. რიკელმე; 7. სავიოლა, 9. კრესპო მწვრთნელი: ხოსე პეკერმანი	1. ჟევრიჩი; 4. დულიაი, 6. გავრანჩიჩი, 20. კრსტაიჩი, 3. დრაგუტინოვიჩი; 17. ნადი, 10. სტანკოვიჩი, 11. პ. ჯორჯევიჩი, 7. კორომანი; 8. კეჟმანი, 19. ჟიგიჩი მწვრთნელი: ილია პეტკოვიჩი

მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)

დღეს გელზენკირხენში ასეთი მატჩია: სერბეთ-ჩერნიგორიას აუცილებლად მოგება სჭირდება, არადა არგენტინას ხვდება და ამიტომ, ტაქტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, სრულიად შესაძლებელია, მაღალი თავდამსხმელით თამაშს მიანიჭოს უპირატესობა. სხვა სიტყვებით, 32 წლის სავო მილოშევიჩის მეასე სანაკრებო თამაში შეიძლება გადაიდოს, რადგან მოედანზე 202 სანტიმეტრიანი ნიკოლა ჟიგიჩის გამოსვლა მიიჩნიონ უპრიანად.

ისე, რატომ უნდა დასჭირდეთ სერბებს მაღალი თავდამსხმელი? ალბათ, იმიტომ, რომ არგენტინელი ცენტრალური მცველები, რობერტო აიალა და გაბრიელ ჰაინცე დაბლები არიან.

შეგახსენებთ, რომ სერბები პირველ თამაშში ჰოლანდიასთან 0:1 დამარცხდნენ, არგენტინამ კი კოტ დივუართან 2:1 გაიმარჯვა.

რაც შეეხება სერბთა ნახევარდაცვას, აქ წესით ყველაფერი ხელუხლებლად უნდა დარჩეს — შუაში ისევ პრედრაგ ჯორჯევიჩისა და დეიან სტანკოვიჩის წყვილი უნდა ვიხილოთ.

„ექსპერიმენტის და მოშვების დრო არ გვაქვს — განაცხადა აიალამ — მეტოქეს უნდა შევუტიოთ და გავიმარჯვოთ ანუ ჯგუფური ეტაპიდან უნდა გავიდეთ“.

მიმომხილველებმა ყურადღება მიაქციეს, რომ კოტ დივუართან მატჩის შემდეგ ხოსე პეკერმანი არგენტინის ნაკრებს ოდნავ გადასხვაფერებული ნახევარდაცვით ავარჯიშებდა — მებრძოლი საყრდენის ესტებან კამბიასოს მაგივრად ლუის გონსალესი ეჩვეოდა შემადგენლობას, რაც მეტ სისწრაფესა და სილაღეზე უნდა მიგვანიშნებდეს.

თავდასხმაში პეკერმანი, ალბათ არაფერს შეცვლის — ერნან კრესპო და ხავიერ სავიოლა როგორც კოტ დივუართან იყვნენ, ისევე იქნებიან სერბებთანაც, რომელთაც მუხლის ტრავმის გამო ცენტრალური მცველი ნემანია ვიდიჩი გამოაკლდათ მთელი ჩემპიონატით. მის ადგილს გორან გავრანჩიჩი დაიკავებს, მარჯვნივ სავარაუდოდ იგორ დულიაი დადგება, მარცხნივ კი ოგნიენ კორომანი.

ნახევარმცველი ალბერტ ნადი: „ვიდიჩის ტრავმამ ცოტა დაგვზაფრა, მაგრამ მომავალი ბრძოლისთვის მაინც მზად ვართ. არგენტინა აშკარად მსოფლიოს ერთერთი საუკეთესო გუნდია, მაგრამ დაუმარცხებელი არ გახლავთ. თუ ჩვენი თავგადაკლული ქომაგები მხარს როგორც სჩვეოდათ ისე დაგვიჭერენ, ყველაფერი შესაძლებელი იქნება და ჩვენც თავგანწირულ ფეხბურთს ვითამაშებთ“.

და როგორ ემზადება არგენტინული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი, 18 წლის ლიონელ მესი? გუშინ დილით მან ივარჯიშა, მაგრამ ბურთს არ გაკარებია. უფრო დაზუსტებით ამ მოთამაშის ამბავს ექიმი დონატო ვილანი უახლოეს მომავალში იტყვის.

არ უვარჯიშია კიდეკ ერთ ვარსკვლავს კარლოს ტევესს, რომელზეც, გუნდის პრეს-მდივანმა განაცხადა, რომ კუჭი აეშალა.

პაპუნა კედია

ვან დერი 111-ე სარს ჩაარჭობს

ჰოლანდია — კოტ დივუარი

შტუტგარტი. „გოტლიბდაიმლერ შტადიონი“. 20.00

1. ვან დერ სარი; 14. ჰეიტინგა, 13. ოიერი, 4. მატიისენი, 5. ვან ბრონკჰორსტი; 18. ვან ბომელი, 20. სნეიდერი, 8. კოკუ; 17. ვან პერსი, 9. ვან ნისტელროი, 11. რობენი მწვრთნელი: მარკო ვან ბასტენი	1. ტიზიე; 21. ებუ, 4. კ. ტურე, 12. მეიტე, 3. ბოკა; 2. აკალე, 19. ი. ტურე, 5. ზოკორა, 15. დინდანე; 18. კეიტა, 11. დროგბა მწვრთნელი: ანრი მიშელი

მსაჯი: ოსკარ რუისი (კოლუმბია)

პირველი ტურის მერე კოტ დივუარმა ყველაზე ძლიერი აფრიკული ნაკრების შთაბეჭდილება დატოვა. „სპილოებმა“ არგენტინასთან კარგად ითამაშეს, მაგრამ პირველ ტაიმში გაშვებულ ორ გოლს, დიდიე დროგბამ ოდენ ერთით უპასუხა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეგრეთ წოდებული სიკვდილის ჯგუფიდან გასასვლელად ანრი მიშელის შეგირდებს უპირველესად ჰოლანდიასთან მოგება სჭირდებათ.

კოტ დივუარელთა პლეიმეიკერი ბონავენტურე კალუ, სავარაუდოდ, სათადარიგოთა სკამზე იქნება, რადგან მან არგენტინასთან მატჩი ჩაგდო და კრიტიკა დაიმსახურა. ძირითადში კი არუნა დინდანეს ვიხილავთ. ანრი მიშელი 4-4-2-ით ითამაშებს.

„ქომაგები ჩვენგან საოცრებებს არ უნდა ითხოვდნენ. მუნდიალზე პირველად ვთამაშობთ, თანაც ჰოლანდიელებს უკეთესი გუნდი ჰყავთ“ — თქვა კალუმ.

ანრი მიშელი: „მჯერა, გამოუცდელობის გამო უკვე დავისაჯეთ და ახლა იგივე შეცდომები არ უნდა გავიმეოროთ. მოგება შეგვიძლია და ამისთვის უნდა ვიბრძოლოთ. ეს მატჩი ჩვენთვის ფინალის ტოლფასია. ტაქტიკაზე და ჩვენს გეგმებზე წინასწარ არაფერს ვიტყვი“.

ჰოლანდიელები უფრო მშვიდი და თვითდაჯერებულნი არიან. მათ ამის საფუძველი აქვთ კიდეც, პირველ შეხვედრაში მშვენივრად იბურთავეს და გაცილები უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე მეტოქე, რომელიც ვალდებული იქნება, შეუტიოს. მარკო ვან ბასტენი 4-3-3-ით ითამაშებს. შესაძლოა, „ნარინჯისფერებს“ მათი პლეიმეიკერი რაფაელ ვან დერ ვაარტი დაუბრუნდეთ, რომელმაც ტრავმა მოიშუშა.

„კოტ დივუარელთა რამდენიმე მატჩი გვაქვს ნანახი. აფრიკელებს ბევრი ლეგიონერი და მთლიანობაში ძლიერი ნაკრები ჰყავთ, მაგრამ ჩვენ საკუთარი სტილით უნდა ვითამაშოთ. მჯერა, ასეც იქნება. ჩემმა ფეხბურთელებმა კარგად იციან, რაც უნდა გააკეთონ“ — აღნიშნა ვან ბასტენმა.

სერბეთთან შეხვედრაში ჰოლანდიელთა რიგებში არიენ რობენმა გაიბრწყინა. გამარჯვების გოლიც მარცხენა შემტევმა ნახევარმცველმა შეაგდო და „ნარინჯისფერთა“ ფაქტობრივად ყველა შეტევის სულიჩამდგმელი იყო. თუმცა ვან ბასტენის თქმით, მისი შეგირდების თამაში უფრო შთამბეჭდავი იქნება და ყველაფერი რობენზე არ გადაივლის.

რობენის დასახმარებლად ვან ბასტენმა ბიჭები შეაგულიანა

„სხვა ნახევარმცველებს მეტი ფანტაზიით მოუწევთ თამაში, ვიდრე ბურთის რობენისთვის გადაწოდებაა. ჩვენ მარჯვენა ფლანგიც გვაქვს და გვყავს ფეხბურთელები, რომლებსაც ასევე შეუძლიათ მომენტების შექმნა“ — დასძინა ვან ბასტენმა.

დაბოლოს, სერბებთან შეხვედრაში ჰოლანდიელთა გამოცდილება მეკარემ ედვინ ვან დერ სარმა მცირე ტრავმა მიიღო, მაგრამ, ექიმების თქმით, იგი ითამაშებს. 35 წლის ფეხბურთელისთვის ეს III-ე მატჩი იქნება ეროვნულ ნაკრებში.

გიორგი კაკაბაძე

არგენტინა	1	1	0	0	2:1	3
ჰოლანდია	1	1	0	0	1:0	3
კოტ დივუარი	1	0	0	1	1:2	0
სერბეთი	1	0	0	1	0:1	0

გიო ახვლედიანის სვეტეული

ნამდვილი თამაში

AFP

იცით, რა ამბავია?

რონალდო მართალია.

რონალდო ფორმაში არ არის, მაგრამ მართალია, იმიტომ, რომ რონალდოს სკამზე არ სვამენ. აბა, რომელი ფეხბურთელი იტყვის, არ დამაყენოო?! მითუმეტეს, რონალდო რომ ჰქვია. არ ეტყვის, არ დამაყენო, ორი წელიწადია, ფეხბურთს ცოტა სხვანაირად ვთამაშობ, ვდგავარ მოედანზე და ჩემს შანს ველოდებიო.

ხო, რონალდო ასე თამაშობს ბოლო ორი წელიწადია, თვითონ ბევრს აღარაფერს ქმნის, თუ შეუქმნიან და კი არის სახიფათო.

ასეთი რონალდო სამოცი წლისაც სახიფათო იქნება, ოღონდ, უამრავ თამაშში ის ვერანაირ სარგებლობას ვერ მოუტანს თავის გუნდებს, იდგება იმ თავისი ღიპით და კოხტა ღაბაბით და დარტყმა კი იცის, თუ მოაჯდა ფეხზე.

საერთოდ, ასეთი რამეების ყურება მტკივნეულია.

ისევე, როგორც ზიდანის ყურებაა მტკივნეული. თუმცა ზიდანი იბრძვის მაინც.

სწორედ გუშინ წავიკითხე ფეხბურთის ზოგიერთი სპეციალისტის აზრი რონალდოს შესახებ. ლეონარდო (ბრაზილიაში თავისი ინტელექტუალურობით გამორჩეული) ამბობს, რომ უჭირს იმის თქმა, რომ მისმა გუნდმა ცუდად ითამაშა. ალან ჰანსენს ის აინტერესებს, დააყენებს თუ არა კარლოს ალბერტო პარეირა რონალდოს ავსტრალიასთან, მარტინ იოლი კი ამბობს, რომ მწვრთნელს იმის გამბედაობა უნდა ეყოს, რომ ათწლეულის საუკეთესო ფეხბურთელი სკამზე დასვას. არა მგონია, ხორვატიასთან მატჩის შემდეგ ვინმეს ბრაზილიის შიში განელებოდესო, აი, ამასაც ამბობს იოლი.

საქმეც სწორედ ესაა. რონალდო ივარგებს თუ არა, ხიფათი არ შემცირდება.

თუმცა, მე მაინც მგონია, რომ პარეირა მაინც მეტს ელოდა. ის კმაყოფილი არ ჩანდა. ყველამ ვიცით, პარეირას ყოველთვის ხისტი, მკაცრი, შედეგზე ორიენტირებული კლუბები ჰყავდა და 12 წლის წინათ ნაკრებიც ასეთი გამოუვიდა, თუმცა, იმ ნაკრებმა, რომელსაც რომარიოს გენია ანათებდა, მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა.

საერთოდ კი, ნამდვილი თამაშები გახურდა. ბრაზილიისგან ხალხი ყოველთვის ზეაღმატებულ რამეებს ელის, მაგრამ ნამდვილი თამაშთა მოხშირებაში ბოლო ორ დღეს წვლილი საუდელებს და ტუნისელებს, ხორვატებს, გერმანელებს და საბრალო პოლონელებსაც მიუძღვით.

მოხდება ხოლმე ასე ფეხბურთში: პოლონეთი ეკვადორთან წახდა. გერმანიამ კი მსოფლიო ჩემპიონატს ის სილაღე და თავზეხელაღებულობა შესძინა, რაც ასე კარგი, გემრიელი, დაუვიწყარი და ხშირად ფინტებზე ტკბილია. პოლონეთიც დაეხმარა. ყოჩაღ, მამაც და მებრძოლ პოლონეთს, რომელიც შინისაკენ მიემგზავრება. იცი, რა არის, ის, რაც გერმანიამ და პოლონეთმა გააკეთეს, ძალიან მოქმედებს გულზე. იმ დროს სულაც არ ფიქრობ გერმანიის ძალასა და საჩემპიონო შანსებზე, იმიტომ, რომ იმას უყურებ, რაც ფეხბურთში პირველი დღიდანვე ჩაიდო — ცხოვრება მინდორზე. სხვებს შეუძლიათ ჯადოსნობები, ღრმა ტაქტიკები, ბურთის გორებები, ფეხზე მიწეპებები, საოცრებები და ეს არის თვალისა და ტკბობისა და ეს მაგარია.

გერმანელებს და ინგლისელებს კი შეუძლიათ, რომ ცხოვრება გადმოიტანონ მინდორზე, ისეთი ნამდვილი, ისეთი ალალი, ისეთი სავსე ცუდით და კარგით, ხასიათებით, ისტორიით, დღევანდელობით... ეს ფეხბურთი არ არის თეატრი, ხელოვნება და მეტიც, თამაშიც არ არის. ცხოვრებაა.

ხორვატები.

მოდი, ნუ დავიღლებით ხორვატებზე ლაპარაკით და ნუ დაგვავიწყდება ნიკო კოვაჩის სახე. და საერთოდ, ხორვატები ნუ დაგვავიწყდებიან. გამოგვადგება და იმიტომ. ქართველებს არ გვიყვარს სხვათა მაგალითები. ვლიზიანდებით, ვინ რა უნდა გვასწავლოსო. ვინ რას გასწავლის? შენით უნდა დაფიქრდე. მეექვსე დღეა, ვცდილობ, წარმოვიდგინო საქართველოს ნაკრები ამ მსოფლიო თასზე და ათას საფიქრალს ვაწყდები. ამათში ყველაზე მთავარი,

AFP

ვფიქრობ, თამაშის ორგანიზაციაა. ეს არის ჩვენი უსუსტესი წერტილი. ვღარ უგებენ აფრიკულ გუნდებს იოლად, იქ სხედან ევროპელი მწვრთნელები, ევროპაში ნაცადი ფეხბურთელებით და ორგანიზებული თამაშით. უკვე ძალიან ძნელია. საერთოდ, მგონია, რომ ეს ყოველი საბჭოელთა პრობლემაა! თამაშის ორგანიზაცია და წამოყვარულო ფსიქოლოგია. იმიტომაც წაიყვანეს რუსებმა გუს ჰიდინკი და იმიტომაც წაგო უკრაინამ ყველაზე დიდი ანგარიშით. უკრაინას უზომოდ გაუჭირდება. უკრაინას ჰყავს შევჩენკო, ხორვატიას საერთოდ არ ჰყავს მაგარი თავდამსხმელი. ეს ხორვატების დიდი პრობლემაა, მაგრამ ამ გუნდების შედარება შეუძლებელია პირველი თამაშების შემდეგ. გადავდეს შენი შევჩენკო, მე, უბრალოდ, უფრო სწორად და პროფესიულად ვთამაშობ ფეხბურთს.

ჰოდა, მინდა, რომ იქ საქართველო წარმოვიდგინო, ორგანიზებული, უტეხი და თუ წააგებს, ხორვატების კაპიტნის იერი ჰქონდეს: სუნთქვა უჭირდეს, ნეკნი ჩამტვრეული ჰქონდეს, მაგრამ მაინც არ უნდოდეს მინდვრიდან გასვლა.

ფეხბურთი ესეცაა.

უფრო სწორად, ჩემთვის ესაა, იმიტომ, რომ ცხოვრებაა.

თორემ ისე, სუხოი ლისტზე ლამაზი, აბა, რა არის?!

წარმოიდგინეთ საქართველო: ორგანიზებული და უტეხი

წარმოიდგინეთ?

AFP

ბოთლების მწვრთნელი

ტოგოს ნაკრების მწვრთნელმა ოტო პფისტერმა, რომელიც, მოგეხსენებათ, თანამდებობიდან ჯერ გაიქცა, შემდეგ კი დაბრუნდა, შესაძლოა ამ აფრიკული ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან ასოგბავი კოლმანს სასამართლოში უჩივლოს.

„ჩივილს ვაპირებ, მაგრამ ხომ ხედავთ, რა დროს მომცხო ამ კაცმა ჩირქი?“ — უთხრა პფისტერმა სააგენტო „როიტერის“ კორესპონდენტს სატელეფონო საუბრისას.

საქმე კი ის არის, რომ ასოგბავი კოლმანმა ტოგოელთა სამხრეთ კორეასთან 1:2 წაგების შემდეგ განაცხადა, პფისტერი ბევრს სვამსო.

„ახლა მაგის დრო არ მაქვს, მაგრამ როგორც კი მსოფლიოს ჩემპიონატი დამთავრდება, ფიფას დავუკავშირდები და დეტალურად გამოვიკვლევ პასუხად რა შემიძლია მოვიმოქმედო. მთავარია შეცდომა არ მომივიდეს“ — განაცხადა წასულ-მოსულმა გერმანელმა, რომელიც, სხვათა შორის, ვერ ამბობს რა სამსახურს ეწევა მუნდიალის დამთავრების შემდეგ.

„ახლა ვერაფერს გეტყვით, რადგან მწვრთნელობა ისეთი საქმეა, რომ ყოველ მეორე დღეზე ფიქრია მნიშვნელოვანი, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდგომ პერიოდზე კი ვერაფერს იტყვი“.

შეგახსენებთ პფისტერის წასვლის მიზეზს: ტოგოელმა ფეხბურთელებმა პირდაპირ მუნდიალის დღეებში დაიწყეს თავიანთ ფედერაციასთან პრემიებზე დავა — ჩემპიონატში მარტო მონაწილეობისთვის 155 ათას ევროს ითხოვდნენ, ხოლო ზემოდან ყოველ მოგებაზე თითოს 30, ფრეზე კი 15 ათასი უნდოდა — ლამის გაიფიცნენ კიდეც, ასეთ პირობებში მუშაობა კი პატიოსან ევროპელს ყოვლად წარმოუდგენლად ეჩვენა, თუმცა შემდეგ, მისმა ასისტენტმა კოდჯოვი მავუენამ დიპლომატიას მიმართა, ყველა მხარესთან საერთო ენა გამონახა და ოტო პფისტერი თანამდებობაზე დააბრუნა.

ამასობაში კი ტოგოელმა მცველმა ლუდოვიკ ასემოასამ პირველ შეხვედრაში მყესი გაიწყვიტა და ოთხშაბათს ფრანკფურტში ოპერაცია გაიკეთა. ბუნებრივია ის მუნდიალზე ვეღარ ითამაშებს.

პაპუნა კედია

უმილანო ჩეხეთი



მილან ბაროში შაბათს განის ნაკრების წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. არსებობს საფრთხე იმისა, რომ ჩეხმა ფორვარდმა მუნდიალის დარჩენილი მატჩებიც გამოტოვოს.

ბაროშმა მარცხენა ფეხი 3 ივნისს, ჩეხეთის მუნდიალისწინა ბოლო ამხანაგურ შეხვედრაში დაიშავა. გერმანიაში ჩასვლის შემდეგ, აღმოსავლეთევროპელს ტრინიდადთან მიღებული ტრავმის გამო ვარჯიში ფრიად უჭირს.

„ასტონ ვილას“ ფეხბურთელის ტრავმა დამატებითი თავსატეხია ჩეხთა ნაკრებისთვის, რადგანაც მათ უკვე ჰყავთ ლაზარეთში ამერიკასთან ჯახში დაშავებული იან კოლერი. ჩეხეთმა იანკებთან 3:0 მოიგო, ახმახმა კოლერმა კი მარჯვენა მუხლი იტკინა და შეცვალეს.

სამშაბათს ბაროში დორტმუნდის „ბორუსიას“ ექიმებმა გასინჯეს. ირი ფაუსეკი ფორვარდის მუნდიალიდან გამგაზავრებაზე ჯერ ვერაფერს ამბობს, თუმცა დარწმუნებულია, რომ ჩეხი განასთან ვერ იბურთავებს. „ბაროში აფრიკელებთან მოედანზე ვერ გამოვა“ — აღნიშნა მან. დოქტორმა პეტრ კრეშჩიმ კი თქვა, ვცდილობთ, გამოჯანსაღების პროცესი დავაჩქაროთ, თუმცა ბაროშის სწრაფად გამოკეთებას ვერაფრით ვერ შეგპირდებითო.

ჩეხთა გამოცდილი მწვრთნელი კარელ ბრიუკნერი კი განასთან, „ასტონ ვილას“ ფორვარდის ნაცვლად, ალბათ, ვრატისლავ ლოკვენცს გამოიყვანს.

ლადო ხომერიკი

I ტურის სიმბოლური ნაკრები („სარბიელის“ ვერსია)



პაპაჩემის პაპის პაპა მაკარონს ხარშავდა



ამერიკელთა მთავარმა მწვრთნელმა ბრიუს არენამ გაამხილა, რომ ბავშვობიდან იტალიის ქომაგია ანუ ნაკრების, რომლის წინააღმდეგაც ხვალ მისი აშშ ითამაშებს. მეტიც, მისი წინაპრები წარმოშობით აპენინებიდან ყოფილან და არენას ცოტა იტალიურიც სცოდნია. ამერიკელთა თავკაცის თქმით, „სკუადრა აძურას“ მას მერე გულშემატკივრობს, რაც 1950 წლის იტალიის ნაკრების პოსტერი ნახა, რომელიც კედელზე მის ბაბუას, სალვატორე შემბრეს ჰქონია გაკრული.

ბრიუს არენა: „ყველა ბრაზილიაზე და მათ შესაძლებლობებზე ლაპარაკობს, მაგრამ მე უფრო იტალია მომწონს, რომელსაც დიდი ხანია, ვქომაგობ. ამერიკაში ვარ დაბადებული, მაგრამ იტალიური სისხლი მაქვს. თუმცა იქ ჩემი ცხოვრების ოდენ სამი თვე გამიტარებია. დედაჩემი სიცილიიდანაა, მამაჩემი კი — ნეაპოლიდან. დარწმუნებული ვარ, აპენინებზე ბევრი ნათესავი მყავს, მაგრამ ისინი არ მომიძებნია და მათ არ ვიცნობ“.

ბუნებრივია, არენამ აღნიშნა, რომ ეს არანაირ გავლენას არ მოახდენს მომავალ მატჩზე და იგი მოსაგებად დაგეშავს აშშ-ს ნაკრებს. იტალიისგან კი „კატენაჩოს“ ელის.

„მეტოქე დაცვიდან ითამაშებს, რადგან უკვე 3 ქულა აქვს და გარკვეულწილად ფრეზეც არ იტყოდა უარს. ამიტომ იტალიელები არ გაიხსნებიან. ისინი უკვე წლებია, ერთი და იმავე სტილით თამაშობენ. საინტერესოა, რომ „სკუადრა აძურა“ ერთ-ერთი ყველაზე მარტივად გასაშიფრი ნაკრებია მსოფლიოში და ამავე დროს ერთ-ერთი ყველაზე რთული მოწინააღმდეგე“ — აღნიშნა არენამ.

ჩეხეთთან სამარცხვინო ანგარიშით, 0:3 წაგებაში მთავარ დამნაშავედ არენამ დამარკუს ბისლი მიიჩნია — უჩვეულოდ პასიური იყო და შეტევების ორგანიზებას ვერ ახერხებდაო. თუმცა უკვე ინანა, რომ პსვ-ს მოიერიშე ნახევარმცველი საჯაროდ გააკრიტიკა, რასაც აჟიოტაჟი მოჰყვა. არენამ ჟურნალისტებს განუცხადა, ვითარებას ნუ ამუქებთ, ყველაფერი მისთვის არ გადამიბრალებია, ჩვენს შორის უთანხმოება არაა და მჯერა, ბისლი კარგად ათამაშდებაო.

გიორგი კაკაბაძე

AFP

ვილიამ ლოზუნგი დახია

ესპანელი დავიდ ვილია ორი გოლით ჯერჯერობით მუნდიალის მთავარმეგოლეთა რიცხვში შედის. „ვალენსიას“ მოიერიშემ, ისევე როგორც მთელმა ესპანეთის ნაკრებმა, უკრაინასთან შესანიშნავად იბურთავა და სლავთა კარიც ორჯერ დალაშქრა. ვილიას უკრაინასთან 4:0 მოგების შემდეგ მადრიდული „ასის“ ჟურნალისტი გაესაუბრა

— ასეთ დებიუტზე, ალბათ, ვერც ოცნებებდით...

— გადასარევი საღამო იყო. ყველანი და, მათ შორის მეც, ბედნიერები ვართ. თუმც უფრო ესპანეთის ნაკრების შესანიშნავი თამაშით ვარ გახარებული, ვიდრე ჩემი გატანილი ორი გოლით.

— მუნდიალის მთავარმეგოლეობაზე რეალურად ფიქრობთ?

— ჩემი მიზანია, ესპანეთმა თავისი მატჩები მოიგოს და არა ის, რომ მე გავხდე მთავარმეგოლე. ნამდვილად არ მივაქცევ ყურადღებას, მე გავიტან უფრო მეტს, თუ ჩემი რომელიმე თანაგუნდელი.

— ესპანეთმა ჩემპიონატის გრანდებს ამით გაფრთხილება მისცა?

— დიახ, ახლა ყველამ იცის, რა გუნდიც გვყავს. ამ უპირატესობის გამოყენებაა საჭირო.

— თავდამსხმელებმა ბრწყინვალედ ითამაშეს...

— ყველამ კარგად ითამაშა. წარმატება ოდენ გუნდური სულისკვეთებით მიიღწევა. ლუის არაგონესი ამბობს, რომ მოგებისთვის კარის მშრალად შენარჩუნებაა საჭირო. ესპანეთი უკრაინასთან დაცვაშიც კარგად მოქმედებდა და თავდასხმაშიც.

— ეს შედეგი საფუძველს გვაძლევს, რომ საბოლოოდ ჯგუფში პირველ ადგილზე ვიფიქრობთ?

— ძალიან მნიშვნელოვანია, როცა მუნდიალს გამარჯვებით იწყებ და ჩვენ ეს შევძელით. მერვედფინალამდე, უფრო კარგი ფეხბურთის თამაში და დამაჯერებლად მოგებაა საჭირო. როცა ჯგუფური ეტაპი დამთავრდება, სერიოზულ მეტოქესთან ძალების მოსასინჯად მზად უნდა ვიყოთ.

— რა იგრძენით ორი გოლის გატანის შემდეგ?

— საკუთარ შესაძლებლობებში უფრო მეტად დავრწმუნდი. გოლი ყოველთვის გამხნევებს.

— ჰეთ თრიქის გაკეთებაც შეგეძლოთ, თუმცა ამაში უკრაინელმა მეკარემ შეგიშალათ ხელი...

— რა გაეწყობა, ახლა ესპანეთისთვის 4 გოლიც საკმარისია. სულ პირველ შატჩში ხომ არ გავიტანდით, რაღაც მომდევნო შეხვედრებისთვის უნდა შემოვინახოთ.

— ამჟამად ნაკრებს რა მიზნები აქვს?

— მომდევნო თამაშის მოგება. ვისურვებდი, საგოლე ბედს არ ეღალატოს ჩვენთვის. შორეულ გეგმებზე არ ვფიქრობთ, წარმატებას ნაბიჯ-ნაბიჯ თუ მივაღწევთ.

— ეიფორიაში ხომ არ ხართ?

— გულშემატკივრებს აქვთ ეიფორიაში ჩავარდნის უფლება, ფეხბურთელებს კი არა. ჯერ მხოლოდ მუნდიალის დასაწყისია და ლოზუნგების წამოძახება საჭირო არ არის.

— მაგრამ სხვა გუნდებს ასეთი დასაწყისი არ ჰქონიათ...

— ყველაფერი მართლა კარგად დაიწყო, საოცრად კარგად. მეტოქე უკვე პირველ 20 წუთში დავამარცხეთ. მომდევნო თამაშებში დავამტკიცებთ, რომ უკრაინასთან 4:0 შემთხვევით არ იყო.



AFP

გულარეული

ოთხშაბათს რონალდო გულისრევამ და თავის ტკივილმა შეაწუხა და სასწრაფოდ ფრანკფურტის კლინიკაში გააქანეს. რა თქმა უნდა, ყველას 1998 წლის ფინალი გაახსენდა, როცა კიჭას ზუსტად მსგავსი რამ დაემართა და ფრანგებმაც უქეიფოდ მყოფი რონალდოს ბრაზილიას 3:0 მოუგეს. თუმცა ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრესმდივანმა მედიას ამცნო, რომ რონალდოს მდგომარეობა ახლა ნორმალურია.

„ფეხბურთელი ოთხშაბათს წავიყვანეთ კლინიკაში, რადგანაც გულისრევასა და თავის ტკივილს უჩიოდა. რონალდო გამოიკვლიეს და მდგომარეობა სერიოზული არ არის. ფორვარდს შეუძლია, ვარჯიშს დაუბრუნდეს“ — განაცხადა პრესმდივანმა.

ბრაზილიის ნაკრები ხორვატებთან მოგების შემდეგ ერთი დღით ისვენებდა, როცა კიჭა ტკივილებმა შეაწუხა. შეშფოთებულმა ოკეანისგაღმელებმა რონი უმალ, გუნდის საწვრთნელ ბაზასთან ახლოს მდებარე ჰოსპიტალში მიარბენინეს.

„პანიკას ნუ მივეცემით. რონალდოს საშიში არაფერი სჭირს. ავსტრალიასთან იგი აუცილებლად ითამაშებს“ — ამბობს ჟოზე ლუიშ რუნკო, ბრაზილიის ნაკრების მთავარი ექიმი.

არაბებმა ფიფას ცივი ლუდი გადაასხეს

მსოფლიოს ჩემპიონატზე ისეა, რომ ამერიკული ლუდსახარში „ანჰაუსერ ბუშ ბადი“ ყოველი მატჩის შემდეგ თამაშის გმირს ასახელებს. ეს ფიფასთანაა შეთანხმებული და ოფიციალურზე ოფიციალური აქციაა, რომელსაც არ უერთდება საუდის არაბეთის ნაკრები. მიზეზი: არაბებს ალკოჰოლური სასმელისა არაფერი უნდათ, თავისი ჯილდოები თავისთვისვე შეინახოსო — ეს თქვეს, ოღონდ ზრდილობიანად.

დავძინოთ, რომ, ბუნებრივია, საუკეთესოს ლუდის მხარშველები კი არა, სპეციალისტები ასახელებენ, მელუდეები კი მხოლოდ ფულს გამოდიან, მაგრამ ამით საუდელთათვის არაფერი იცვლება.

ისე კი, საუდელთა გუნდიდან ტუნისთან შეხვედრაში მაინცდამაინც გმირად გამოსაცხადებელი არავინ ყოფილა. ჯილდო ტუნისელმა ზიად ჯაზირიმ შეირგო, რომელმაც თავისი გუნდის ორი გოლიდან ერთი გაიტანა, საუდეთიდან კი ერთი სამი ალ ჯაბერმა შეაგდო — როგორც ხედავთ ყველა მაჰმადიანი ერთნაირი არ არის.

ჰოდა, სამი ალ ჯაბერზე მოგახსენებთ. ეს კაცი პელეს, მარადონას უვე ზეელერის და მიქაელ ლაუდრუპის მარაქაში გაერია. საქმე ის არის, რომ მან მსოფლიოს ჩემპიონატზე წინა გოლი 12 წლის წინ, აშშ-ში, მაროკოს გაუტანა, ასეთი რამ კი ჩამოთვლილების მეტს არავის მოუხერხებია. მათ გვერდით დადგომა შეუძლია შვედ ჰენრიკ ლარსონსაც.

პაპუნა კედია

AFP

ნიკოს ნეკნები

ხორვატებს იმედი აქვთ, რომ მათი კაპიტანი ნიკო კოვაჩი ბრაზილელებთან შეხვედრაში ნატკენ ნეკნს იაპონიასთან შეხვედრამდე მოირჩენს. შეგახსენებთ, რომ კოვაჩი ზე რობერტოსთან შეჯახების შემდეგ დაშავდა და მე-40 წუთზე გავიდა მოედნიდან.

გუშინ ხორვატების კაპიტანმა დილის ვარჯიშზე 15 წუთი ირბინა, მერე კი მოედნის კიდიდან უყურებდა თანაგუნდელებს.

„კოვაჩს ვმკურნალობთ და გაცილებით უკეთ გრძნობს თავს“. — განაცხადა გუნდის ექიმმა ხირან ბაჰტიარევიჩმა.

„ორიოდ წლის წინ მავანნი ამბობდნენ, რომ კოვაჩი გადამწყვეტი ფიგურა არ არის, მაგრამ ახლა გამოჩნდა, რაოდენ მნიშვნელოვანია მისი თავგანწირვა ჩვენი ნაკრებისთვის.“ — ეს კი მცველმა იოსიპ შიმუნიჩმა თქვა და დასძინა, რომ ბრაზილიელებმა გოლი ნიკო კოვაჩის გასვლიდან რამდენიმე წუთში შეაგდეს.

AFP

AFP

AFP

AFP

AFP

რამდენიც უნდა გვეძახონ ჩამორჩენილები და ბნელები, უნდა ვთქვათ — შენი ქვეყნის სახელი უკანალზე დასაწერი არ არის და არც ქვედა საცვლად გამოსაყენებელია მისი დროშა. ფუი, ეშმაკსო, ამათ შემხედვარე უნდა თქვა.
აი, მკერდშეღებილი ინგლისელი გოგოს დაძრახვას კი მოვერიდებით — აბა, სად ის შარვალჩახდილი და სად ეს ქალი.
სულ ქვევით კი ნაღდი ოჯახის ქალები სხედან. მარცხნივ ვიქტორია ადამსია რომეო ბექემთან ერთად, ხოლო მარჯვნივ ბილეთს აფრიალებს უეინ რუნის ფერხორციანი საცოლე კოლინ მაკლაჰლინი, ვინც სულ იმის ცდაშია, თავისი და უეინის იმიჯი დევიდისა და ვიქტორიასას მიუხლოვოს და ამით მილიონები იშოვოს.
მოკრძალებული გოგოები კი ირანელები გახლავან.

AFP

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში						
		16 ივნისი						
17:00	162	არგენტინა-სერბეთი	1.60	3.50	5.50	1.09	1.23	2.13
17:00	163	არგენტინა-სერბეთი 0:1	2.65	3.30	2.05			
20:00	164	ჰოლანდია-კოტ დიუარი	1.90	3.20	4.00	1.19	1.28	1.77
20:00	165	ჰოლანდია-კოტ დიუარი 0:1	3.05	3.30	1.85			
23:00	166	მექსიკა-ანგოლა	1.45	3.70	6.80	1.04	1.19	2.39
23:00	167	მექსიკა-ანგოლა 0:1	2.10	3.50	2.45			
		17 ივნისი						
17:00	168	პორტუგალია-ირანი	1.35	3.90	9.00	1.01	1.18	2.72
17:00	169	პორტუგალია-ირანი 0:1	2.00	3.50	2.65			
20:00	170	ჩეხეთი-განა	1.65	3.40	5.20	1.11	1.25	2.05
23:00	171	იტალია-აშშ	1.50	3.60	6.50	1.05	1.21	2.31
		18 ივნისი						
17:00	173	იაპონია-ხორვატია	4.70	3.40	1.70	1.97	1.24	1.13
20:00	174	ბრაზილია-ავსტრალია	1.25	5.00	11.00	1.00	1.12	3.43
20:00	175	ბრაზილია-ავსტრალია	0:11.60	3.70	3.70			
23:00	176	საფრანგეთი-ს კორეა	1.45	3.90	7.00	1.05	1.20	2.50
		19 ივნისი						
17:00	178	ტოგო-შვეიცარია	6.80	3.80	1.45	2.43	1.19	1.04
20:00	179	ს.არაბეთი-უკრაინა	8.50	3.80	1.38	2.62	1.18	1.01
23:00	180	ესპანეთი-ტუნისი	1.33	4.00	9.50	1.00	1.16	2.81

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		იტალია. სერია C1/A						
		18 ივნისი						
18:00	355	ჯენოა-მონცა	1.60	3.10	6.00	1.05	1.26	2.04
		შვედეთი. სუპერეტა						
		17 ივნისი						
18:00	138	დეგერფორსი-იონკოპინგი	2.15	3.20	2.75	1.28	1.20	1.47
18:00	139	ლიუნგსკილე-ქვიდინგი	1.40	4.00	6.00	1.03	1.13	2.40
18:00	140	სუნდსვალი-მიალბი	1.90	3.30	3.50	1.20	1.23	1.69
18:00	141	უმეა-ლანდსკრონა	2.80	3.20	2.20	1.49	1.23	1.30
		18 ივნისი						
20:00	142	ატვიდაბერგი-ტრელებორგი	2.75	3.20	2.20	1.47	1.22	1.30
20:00	143	ფალკენბერგი-ასირისკა	2.70	3.20	2.25	1.46	1.22	1.32
		19 ივნისი						
21:00	144	ბრომაპოიკარნა-ვესბი	1.90	3.20	3.30	1.19	1.20	1.62
21:00	145	იორებრო-ნორჩიოპინგი	1.90	3.30	3.50	1.20	1.23	1.69
		ჩილე						
		17 ივნისი						
23:30	352	უაჩიპატო-კობრელოა	1.90	3.20	3.40	1.19	1.21	1.64
		18 ივნისი						
22:45	353	უნ ჩილე-უნ კატოლიკა	2.40	3.20	2.50	1.37	1.22	1.40
23:45	354	უნ კონსეპსიონი-აუდაქსი	1.95	3.30	3.20	1.22	1.21	1.62

გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები: თბილისი – მოსკოვის გამზირი №6; ზესტაფონი – აღმაშენებლის №39; გარდაბანი – აღმაშენებლის №12

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12162	არგენტინა-სერბეთი	1.70	1.90
12164	ჰოლანდია-კოტ დიუარი	1.70	1.90
12166	მექსიკა-ანგოლა	1.70	1.90
12168	პორტუგალია-ირანი	1.80	1.75

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13162	არგენტინა-სერბეთი	1.80	1.80
13164	ჰოლანდია-კოტ დიუარი	1.70	1.90
13166	მექსიკა-ანგოლა	1.90	1.70
13168	პორტუგალია-ირანი	1.90	1.70

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14162	არგენტინა-სერბეთი	1.30	2.50
14164	ჰოლანდია-კოტ დიუარი	1.60	2.20
14166	მექსიკა-ანგოლა	1.20	2.60
14168	პორტუგალია-ირანი	1.15	2.60

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15162	არგენტინა-სერბეთი	3.00	2.80	2.00
15164	ჰოლანდია-კოტ დიუარი	3.00	2.80	2.00
15166	მექსიკა-ანგოლა	3.00	2.80	2.00
15168	პორტუგალია-ირანი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16162	არგენტინა-სერბეთი	1.30	2.80
16164	ჰოლანდია-კოტ დიუარი	1.40	2.40
16166	მექსიკა-ანგოლა	1.12	4.20
16168	პორტუგალია-ირანი	1.10	4.80

გოლი:ლუწი-1 თუ კენტი-2. (0:0 ითვლება ლუწად)

17162	არგენტინა-სერბეთი	1.85	1.95
17164	ჰოლანდია-კოტ დიუარი	1.85	1.95
17166	მექსიკა-ანგოლა	1.85	1.95
17168	პორტუგალია-ირანი	1.85	1.95

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10162	არგენტინა-სერბეთი	2.00	2.10	5.20	1.02	1.44	1.49
10164	ჰოლანდია-კოტ დიუარი	2.30	2.00	4.40	1.06	1.51	1.37
10166	მექსიკა-ანგოლა	1.70	2.30	6.00	1.00	1.32	1.66
10168	პორტუგალია-ირანი	1.60	2.50	6.00	1.00	1.26	1.76

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11162	არგენტინა-სერბეთი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11164	ჰოლანდია-კოტ დიუარი	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.00
11166	მექსიკა-ანგოლა	1.80	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00
11168	პორტუგალია-ირანი	1.70	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

რალფ მინგე: იტალია პირველია, უკრაინამ გამაოგნა, საფრანგეთი კი მეორე უკრაინაა

საქართველოს ეროვნული ნაკრების გერმანული სამწვრთნელო შტაბი სამშობლოშია და მსოფლიოს ჩემპიონატის შეხვედრებს ეპიცენტრიდან ადევნებს თვალს. მუნდიალზე მოხვედრილ 32 გუნდს შორის სამი ჩვენი თანაჯგუფელია და, ბუნებრივია, მათ მიმართ ყურადღებაც გაასმაგებულია. გუშინ გერმანიაში რალფ მინგეს დავუკავშირდით და ნანახით მიღებული პირველი შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ...


გურამ მურადაშვილის ფოტო

— 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენი მეტოქეების მატჩებს ალბათ ადევნეთ თვალი...

— რა თქმა უნდა. იტალიელთა და უკრაინელთა მატჩებს ტრიბუნიდან ვუყურე, ფრანგებს კი ტელევიზიით. სამაგიეროდ, ფრანგების მატჩს ტრიბუნიდან კლაუს ტოპმიოლერმა ადევნა თვალი.

— მოდით, ჩვენი სამივე მეტოქე მოკლედ დავახასიათოთ. იტალიით დავიწყოთ...

— იტალიამ საოცრად ითამაშა. პირდაპირ გეტყვით, რომ მათგან ასეთ შთამბეჭდავ თამაშს არ ველოდი — მეტოქეს კი აძლევდა თამაშის საშუალებას, მაგრამ მატჩის სადავეები პირველიდან ბოლო წუთამდე თავად ეპყრა. მათმა იმპროვიზაციის უნარმა, სილაღემ და უმაღლესმა ტექნიკამ აღმაფრთოვანა. ლიპის გუნდმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა.

— უკრაინამ ჯერჯერობით ყველაზე დიდი სხვაობით წააგო...

— მათი თამაშით გაოგნებული ვარ. ვერ ვიფიქრებდი, თუ ასე ცუდად ითამაშებდნენ. მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე მათზე საკმაოდ კარგი წარმოდგენა მქონდა და გარკვეულ სიურპრიზსაც ველოდი, მაგრამ...

— ხომ არ ფიქრობთ, რომ ოლეგ ბლოხინმა ესპანეთთან გუნდი არ დაღალა და დანარჩენ ორ მატჩზე გააკეთა აქცენტი?

— ვერ გეტყვით. შესაძლოა, ასეც მოიქცა, მაგრამ ასეც რომ იყოს, მისი სტრატეგია გაუმართლებელი მგონია. ესპანეთის ნაკრები ფავორიტთა შორის ნაკლებად ითვლებოდა და მათთან 0:4-მა, შესაძლოა, ფეხბურთელებზე გამოუსწორებელი ფსიქოლოგიური კვალი დატოვოს. უკრაინელთა კიდევ ერთი მინუსი ისაა, რომ ბლოხინმა საკმაოდ პრიმიტიული ტაქტიკა აირჩია.

— საფრანგეთი...

— მოკლედ გეტყვით: მათი თამაში არანაკლებ გამაოგნებელი იყო, ვიდრე უკრაინის.

— რამდენად მნიშვნელოვანი ფიგურაა დღევანდელ საფრანგეთის ნაკრებში ზინედინ ზიდანი ანუ რა შანსი გვაქვს ამ გუნდთან, თუკი მას ზიდანს გამოვაკლებთ?

— ზიდანი ფრანგთა მამოძრავებელი ძალაა და შვეიცარიელებთანაც, ფაქტობრივად, მხოლოდ ის თამაშობდა მაღალ დონეზე. ამის მიუხედავად, ერთი თამაშით დასკვნების გამოტანა რთულია. თანაც უცნობია, რა სახით ჩამოყალიბდება ფრანგთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ.

— წარმოიდგინეთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებიც თამაშობს და ჩვენს ჯგუფში იტალიელები, ფრანგები და უკრაინელები არიან. რამდენ ქულას დაგეგმავდით?

— ამის წარმოდგენა დღეს ძალიან რთულია, თუმცა სამომავლოდ სწორედ ამისთვის ვაპირებთ ბრძოლას. თუკი გუნდში ის სულისკვეთება იქნებოდა, რომელიც პარაგვაის ნაკრებთან მატჩისას ვნახე, მერწმუნეთ, თავს ნამდვილად არ შევირცხვენდით.

— თქვენი აზრით, ვინ არის ჩემპიონატის მთავარი ფავორიტი?

— ჩემპიონატის დაწყებამდე ასეთად ბრაზილიის ნაკრები მიიჩნეოდა, თუმცა ახლა მგონია, რომ ნომერ პირველი ფავორიტი იტალიაა. მას ბევრით არც ესპანეთის ნაკრები ჩამოუვარდება. ბრაზილიას მხოლოდ მათ შემდეგ დავაყენებ.

— რომელმა გუნდებმა ითამაშეს მოსალოდნელზე უკეთ და რომლებმა მოსალოდნელზე ცუდად?

— უკვე ვთქვი, რომ უკრაინის და საფრანგეთის თამაშმა გამაოგნა. ასეთ სუსტ თამაშს ბრაზილიელთაგანაც არ ველოდი. მოლოდინს კი აფრიკელებმა გადააჭარბეს — მართალია, გატანილი გოლებით და მოგებული მატჩებით ვერ დაიკვეხნიან, მაგრამ მათი სისწრაფე, ლაღი თამაში და თავდადება აღფრთოვანებას იწვევს.

— მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშობენ ისეთი გუნდები, რომლებიც დაახლოებით საქართველოს ნაკრების დონისანი არიან?

— პარალელების გავლება ჯერ ადრეა. ყველა ეს გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე უკვე თამაშობს, ჩვენ კი... ოცნებას არ უნდა მივეცეთ, ვიყოთ რეალისტები და ნუ ჩავთვლით, რომ მომავალ ევროპის ჩემპიონატზე აუცილებლად ვითამაშებთ. ჯგუფში ძალიან ძლიერი მეტოქეები გვყავს. კლაუს ტოპმიოლერი და მისი გუნდი ყველაფერს გააკეთებს, რომ მომავალ ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს თავისი გუნდი ჰყავდეს საქომაგო.

— რამდენჯერმე აღფრთოვანებით ახსენეთ იტალიის ნაკრები. აქა-იქ ითქვა, თითქოს ღედით იტალიელი ხართ. მართალია?

— არა, იტალიელი არავინ მყავს, თუმცა ეს არ მიშლის ხელს, იტალიის ნაკრების ქომაგი ვიყო.

ნინო სილაგაძე

საუეფო და საჩეხეთო საგურამო

ინეზეთ: ხიზანიშვილი ამერში

ბადრი კოპალიანის ფოტოები

ოთხი წლის „ამერს“ ცხელი ზაფხული დაუდგა. სადებიუტო საუეფასთასო მატჩამდე ბევრიც არ დარჩა და თბილისელები გაგანია მზადებაში არიან — 3-დან 14 ივნისამდე გიორგი ჩიხრაძის გუნდი ბაკურიანში ვარჯიშობდა, თუმცა ეს უფრო მოთელვა იყო...

გუშინ კი „ყვითლებმა“ საგურამოს ბაზა აახმაურეს და სრულფასოვანი ვარჯიში გამართეს. სტანდარტული, თუმცა დაუხაზავი მინდორი და ორი მხრიდან ბეტონის ფილებით შემორტყმული, მინდორს მიღმა ჯერაც მშენებარე შენობა — ასეთია საგურამოს ბაზა და სწორედ აქ ივარჯიშა „ამერმა“ „ზესტაფონთან“ სათასო ფინალის წინ...

ბაკურიანულ შეკრებაზე „ამერს“ 23 ფეხბურთელი ჰყავდა, გუშინ კი კიდევ ერთი დაემატა: მეკარე ლევან ბუბუტეიშვილი „თბილისი 2“-დან, რომელიც ჯერჯერობით გასინჯვაზეა...

გიორგი ჩიხრაძემ ბუბუტეიშვილი ვარჯიშის წინ წარუდგინა შეგირდებს და იქვე მეორე „ახალწვეულის“ წარდგენაც „მოუხდა“...

დიახ, „ამერთან“ ერთად ივარჯიშა საქართველოს ნაკრებისა და ინგლისური „ბლექბერნის“ მცველმა ზურაბ ხიზანიშვილმა, რომელიც „ყვითლებთან“ ტონუსს ინარჩუნებს. სანამ მინდორზე გავიდოდნენ, ჩიხრაძე მას ბლექბერნულ სამწვრთნელო მეთოდებზე დიდხანს ეკითხებოდა — ამითაც ჩანს, რომ „ამერის“ თავკაცი ძალიან მონდომებული და სიახლეებით დაინტერესებულია.

ვარჯიშიც დაიწყო: ოთხი-ხუთი ფეხბურთელი ჯგუფ-ჯგუფად ბურთის გათამაშებით, ძუნძულით ფარავდა მინდორს — ეს ისე, მოთელვის მიზნით.

შემდეგ მეკარეთა მწვრთნელმა ლევან აბაშიძემ ზურაბ ქვაჩახია, ლადო ნადირაშვილი და ლევან ბუბუტეიშვილი ავარჯიშა, ხოლო ჩიხრაძემ გუნდი სამად გაჰყო. ერთ ჯგუფს კვადრატები გაახურებინა, მეორეს — დარტყმები, მესამეს კი — გრეხეტბოლი. ჯგუფები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და მთლიანობაში სასიამოვნო, მრავალფეროვანი ვარჯიში გამოვიდა.

ბოლოს კი იყო ტრადიციული ორკარა ნახევარ მოედანზე... ყველა მოთამაშემ ოფლი ღვარა და აშკარად იგრძნობოდა მნიშვნელოვანი თამაშისწინა აურა...

ილია ნანოგაშვილი

რა შუაშია ბალაკი შალკესთან?

ლევან კობიაშვილი ესპანეთმა დაანჯერა

საქართველოს ნაკრებისა და გერმანული „შალკეს“ ერთ-ერთი ლიდერი ლევან კობიაშვილი დიდი ხანია, ესპანეთის ნაკრებს ქომაგობს და გუშინწინ, როცა „მისმა გუნდმა“ უკრაინას შთამბეჭდავად მოუგო, სწორედ მაშინ დავუკავშირდით და სამუნდიალო ამბების გარდა სხვაც გამოვკითხეთ.

ლევანი შვებულებას ჯერ თბილისში ატარებს, თუმცა მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთ თამაშს მაინც დაესწრება. როგორც გვითხრა, ერთ-ერთ მეოთხედფინალზე, რომელიც სწორედ გელზენკირხენში გაიმართება, მთელი „შალკეა“ დაპატიჟებული...

— ერთი-ორი დღე კიდევ თბილისში ვიქნები, შაბათს კი მე, ალექსანდრე იაშვილი და ლევან ცქიტიშვილი ოჯახებით მონტე კარლოში მივემგზავრებით. როცა ერთად ვთამაშობდით, მაშინაც ერთად ვისვენებდით, მაგრამ ტრადიციას არც ახლა ვღალატობთ, როცა სხვადასხვა გუნდებში ვართ. „შალკე“ კი ახალი სეზონისთვის მზადებას 3 ივლისს იწყებს, თუმცა გელზენკირხენში პირველში მაინც უნდა ვიყო — მეოთხედფინალი ჩვენს სტადიონზეა და მთელი გუნდი დაგვპატიჟეს.

— ჩემპიონატზე რას იტყვი, ისეთი თამაშებია, როგორსაც ელოდი?

— გასაკუთრებული და გამოსარჩევი ჯერ არაფერი ხდება. რამდენიმე კარგი თამაში ვნახეთ, მაგალითად, არგენტინა — კოტ დივუარი, გერმანია — კოსტა რიკა, ბრაზილია — ხორვატია, მაგრამ უინტერესო შეხვედრებიც იყო... ჩანს, რომ გუნდები საუკეთესო ფორმაში ჯერ არ არიან, ჯგუფური ეტაპია და გარკვეულწილად ყველა ფრთხილობს, აი, პლეი ოფიდან კი, მგონი, გაცილებით საინტერესო მატჩები იქნება.

— ესპანეთზე რა აზრის ხარ?

— ძალიან კარგი გუნდია. კი ვფიქრობდი, რომ ესპანეთი უკრაინას მოუგებდა, მაგრამ ბოლომდე დარწმუნებული არ ვიყავი — მეგონა, უკრაინა დაცვაში ჩაჯდება და გოლის გატანა გაჭირდება-მეთქი. მაგრამ, ხომ ნახეთ, ჩემებმა უკრაინას როგორც მოუგეს?! ჯგუფიდან გასვლა ესპანეთისთვის პრობლემა არ უნდა იყოს.

— შემდეგ?

— ყოველთვის ამაზე ვფიქრობ... ესპანეთი ჯგუფიდან ნახევარი ძალით გადის ხოლმე, მერე კი... მგონია, რომ ესპანეთის ეს გუნდი მართლაც ძალიან ძლიერია და ამჯერად მაინც უფრო შორს წავა. თანაც ახალგაზრდული გუნდია და ფეხბურთელები თავიანთ კლუბებში საუკეთესონი არიან.

— ფავორიტად რომელი გუნდი მიგაჩნია?

— გვარ-სახელებით, რა თქმა უნდა, ბრაზილიაა ფავორიტი, მაგრამ ყველამ ხომ იცის, რომ დღეს გვარ-სახელები აღარ თამაშობენ... რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზეც ისეთი სენსაციური ამბავი მოხდება, როგორიც ევროპის ჩემპიონატზე. პირველი მატჩების შემდეგ ვერ ვიტყვი, რომელიმე გუნდი დიდ წარმატებას მიაღწევსო, მაგრამ მაინც, ჩეხეთი მომეწონა ძალიან. თუმცა, შესაძლოა, ისინი ამერიკის ფონზეც გამოჩნდნენ ასეთი ძლიერები.

— კლუბში რა ამბები დაგხვდება?

— „შალკეს“ ორი კარგი ფეხბურთელი დაუმატებია — „კაიზერიდან“ ჰამიტ ალტინტოპი და „რეინჯერსიდან“ პიტერ ლოვენკრანდსი. საერთოდ, ამ ბოლო დროს „შალკე“ ბუნდესლიგაში თავგამოჩენილ ფეხბურთელებს იმატებდა ხოლმე, მაგრამ თავის დროზე ვერც აილტონმა გაამართლა და ვერც კურანიმ, არადა, ჩვენთან გადმოსვლამდე ისინი „ვერდერში“ და „შტუტგარტში“ საუკეთესონი იყვნენ. ალტინტოპი კი ჯერჯერობით არც ისეთი სახელიანია, როგორიც აილტონი და კურანი და ამიტომაც მგონია, რომ ის მაინც გამოგვადგება. ლოვენკრანდსი კი იმიტომ დაიმატეს, რომ ფლანგელი შემტევი გვჭირდებოდა.

— მიზნებზე, როცა კლუბში დაბრუნდები, მაშინ ილაპარაკებთ?

— მიზნებზე, ალბათ, ახლებს დაელაპარაკებიან. მე კი სამი სეზონია, „შალკეში“ ვარ და ვიცი, რა მიზნებიც გვექნება — ჩემპიონობა, ან უარეს შემთხვევაში, სამეულში მოხვედრა.

— ისე, მომავალ სეზონში ჩემპიონობის მეტი შანსი უნდა გქონდეთ...

— კი, ჩვენც ასე ვფიქრობთ. ბალაკის წასვლით „ბაიერნი“ ალბათ საგრძნობლად დასუსტდება. თუმცა „ბაიერნი“, რა თქმა უნდა, ყოველთვის უპირველესი კანდიდატია.

— ამას წინათ „სარბიელის“ ტრადიციული გამოკითხვის შედეგები შეჯამდა და საუკეთესო ფეხბურთელიც დასახელდა. რას იტყვი, ჟურნალისტების არჩევანი ლოგიკური იყო?

— რა თქმა უნდა, ლოგიკური იყო. მიმაჩნია, რომ კახა კალაძემ ძალიან ძლიერად ითამაშა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა. ბოლო დროს იტალიური პრესა სულ მასზე ლაპარაკობდა, არც მალდინიზე, არც ნესტაზე, არც სხვაზე. კახა „მილანში“ მართლაც გამორჩეული ფეხბურთელია, „მილანი“ კი უდიდესი კლუბია. თავად კი, იმუდი მაქვს, გაისად ისევ საუკეთესოდ დამასახელებთ. საუკეთესოობის შანსი, რა თქმა უნდა, მე და შოთა არველაძეს წლეულსაც გვქონდა, მაგრამ... კახა კალაძე მართლაც საუკეთესო იყო. ზოგადად კი, დიდი მადლობა „სარბიელს“ და ჟურნალისტებს, ასეთ კარგ საქმეს რომ აკეთებს და ჩვენ, ფეხბურთელებს სტიმულს გვაძლევთ. ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელება ხომ ნებისმიერისთვის ძალიან დიდი პატივია.

კობა ინასარიძე

ანდრეი ჩერნიშოვი: დინამოში პერსპექტივა ვერ დავინახე

გეცოდინებათ, თბილისის „დინამოდან“ დათხოვნილმა ანდრეი ჩერნიშოვმა ბელარუსში ამოყო თავი და ვიტებსკის „ლოკომოტივს“ წვრთნის. რუსული გაზეთი „სპორტ-ექსპრესი“ კი წერს, ჩერნიშოვს შეეძლო „დინამოში“ დარჩენა, მაგრამ არ ისურვაო — იქვე ტანმაღალი რუსი თავკაცის ინტერვიუა, სადაც სხვა საინტერესო ამბებიცაა...

„სეზონი რომ მორჩა, „დინამოს“ ხელმძღვანელობას შევხვდი და სამომავლო გეგმებისთვის ჩემი მოსაზრებები გავაცანი — კერძოდ, გუნდის დაკომპლექტება-გაძლიერება, ასევე მატერიალური ბაზის გაუმჯობესება. როგორც მივხვდი, კლუბი საამისოდ მზად არ აღმოჩნდა, თბილისში დარჩენის პერსპექტივა ვერ დავინახე. მით უმეტეს, „დინამოს“ მიმართ არცთუ კარგი დამოკიდებულება აქვს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და მსაჯთა კორპუსს. ეს აშკარად შეგამჩნიე და არა მგონია, უახლოეს პერიოდში ეს ურთიერთობა შეიცვალოს“ — ამბობს ჩერნიშოვი.

„სპორტ-ექსპრესის“ ჟურნალისტი რუს მწვრთნელს ქართული ფეხბურთის დონეზე ეკითხება, რაზეც ასეთ პასუხს იღებს: „ობიექტური ახლა ვითარდება. ქართველ ხალხს უყვარს ფეხბურთი, მაგრამ რამდენად აღორძინდება იქ სპორტის ეს სახეობა, დრო გვიჩვენებს. ახლა საქართველოში არც მეტი, არც ნაკლები, სამი-ოთხი ძლიერი გუნდია.“

ჩერნიშოვი ამბობს, „დინამოსთან“ ჩემს კონტრაქტში ეწერა, რომ კლუბს ჩემპიონობა და თასი უნდა აეღო, ასევე ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასასვლელად უნდა ებრძოლა, არადა...

„მიზნები გუნდის ღონის და კლუბის მატერიალური მდგომარეობის შესაბამისად უნდა დაისახო“...

ანდრეი ჩერნიშოვი

ეროვნულმა დედოფლისთვის მოიცალა

ეროვნულ სტადიონზე სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპი სრული სვლით მიდის. მოედნის დაგებამდე სრულიად განახლდება სადრენაჟო სისტემა, ამასობაში კი, სარბენი ბილიკების ჯერიც დადგა...

გუშინ ეროვნულ სტადიონს ხორვატ სპეციალისტთა ჯგუფი ესტუმრა, რომლებმაც შესაბამისი გაზომვები ჩაატარეს. აღრევე გაცნობეთ, რომ „დინამო ინვესტი“ ეროვნული სტადიონის სარბენი ბილიკების განახლებას ევროპის მძლეოსნობის ფედერაციასთან კონსულტაციების შემდეგ აპირებს.

დაიგება სრულიად ახალი, ბოლო თაობის სარბენი ბილიკები, დამონტაჟდება ფოტოფინიშის მოწყობილობა, მოეწყობა მძლეოსნობის სხვა სახეობებისთვის საჭირო სექტორები. ეს ეროვნული სტადიონის დირექციას და საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციას საშუალებას მისცემს, მაღალი დონის სამძლეოსნო ტურნირების მასპინძლობაზე განაცხადოს პრეტენზია.

რაც შეეხება მინდვრის საფართან დაკავშირებულ კითხვას — ქანდის მეურნეობის საფარი სჯობს თუ თურქული — ჯერაც ღიად არის დატოვებული და ეროვნული სტადიონის დირექტორის, ირაკლი მეძმარიაშვილის თქმით, განხილვის სტადიაშია.

გიორგი ნოზაძე

რკინიგზას მინაშვილი აამუშავებს

თბილისის „ლოკომოტივში“ ხანგია გეგუჩაძის, ხანაც გიორგი დევდარიანის მთავარ მწვრთნელად მისვლაზე ლაპარაკობდნენ, თუმცა გუნდში ამირან მინაშვილი გათავკაცდა — იგი 70-იანი წლების ბოლოს თბილისის „დინამოში“ ირიცხებოდა.

მინაშვილმა მექსიკაში გაიარა სამწვრთნელო კურსები, რამდენიმე ხნის წინ კი ესპანური „ბარსელონას“ ტალანტების მოძიების პროგრამაში ჩართეს.

ლუკა თალაკვაძე

ნეში თბილისში?

ქართულ-სომხურმა მაფიამ ფრანგი ამერიკაში გააოცა

ნბა-ში მოთამაშე ორი ქართველისთვის ეს სეზონი დიამეტრულად განსხვავებული იყო. თუ ზაზა ფაჩულიამ „ატლანტაში“ თავი ისახელა და გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშის სახელი დაიგდო, ნიკა ცქიტიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ გუნდი გამოცვალა, მაინც სათადარიგოთა სკამზე იჯდა. „ცქიტოს“ ბენეტონელი მწვრთნელი მაიკ დანტონი, რომელიც ახლა „ფინიქსს“ თავკაცობს, ქართველ ფორვარდს არ ენდობოდა. არადა, ზამთარში ნიკა სწორედ დანტონის მოწადინებით გადავიდა „მინესოტადან“ „ფინიქსში“. ახლა ცქიტიშვილი თავისუფალია და ფინიქსში ინდივიდუალურად ვარჯიშობს. თან „სანზისგან“ სიტყვას ელის, გაუხანგრძლივებენ თუ არა კონტრაქტს. ამ დღეებში თბილისში „სკიტას“ გამზრდელი მწვრთნელი ვაჟა კვარაცხელია ჩამოვიდა, რომელმაც გასული სამი თვე ნიკასთან ერთად გაატარა და ორიოდ დღეში კვლავ მასთან დაბრუნდება. კვარაცხელია ფინიქსურ ამბებზე გვესაუბრება...

ნიკა ცქიტიშვილი, ვაჟა კვარაცხელია და შონ მერიონი

— ფინიქსში ნიკას მიწვევით იყავით?

— დიახ, „ცქიტომ“ მიმიწვია და მთელი სამი თვე მასთან ვცხოვრობდი. „ფინიქსის“ არც ერთი თამაში არ გამომიტოვებია და დავრწმუნდი, რომ ნიკას სკამზე ჯდომა უსამართლობაა.

— ესე იგი, მაიკ დანტონი მას არასწორად ეპყრობა?

— დანტონი მარტო იმიტომ იქცევა არასწორად, რომ „ფინიქსის“ მთელი საპლეიოფო თამაშები 7 კაცის ზურგზე გადაატარა. ნიკა მაშინ შეჰყავდა მოედანზე, როცა მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო. მხოლოდ ერთხელ ათამაშა შედარებით ხანგრძლივად და ნიკამაც თავი არ შეირცხვინა. „ლეიკერსთან“ 15 წუთში 9 ქულა, 5 მოხსნა და 3 პასი მოაგროვა.

— „გოლდენ სტეიტთანაც“ ხომ ათამაშა მაგდენი?!

— კი, მაგრამ ეგეთ თამაშს რა ვუთხარი. ნიკას დაბადების დღე იყო და... ჯეიმს ჯონსი, რომელიც დიდი ვერაფერი კალათბურთელია, ერთხელ 30 წუთი ათამაშა და მან მხოლოდ 2 ქულა გააკეთა. დარწმუნებული ვარ, ნიკა უკეთესად ითამაშებდა მის ნაცვლად.

— რატომ ხართ ასე დარწმუნებული?

— ამ სამი თვის განმავლობაში, რაც ამერიკაში ვიყავი, ნიკას ყველა ვარჯიშს დავესწარი. ის ჯონსსაც ჯობდა და არაერთ სხვასაც.

— ვარჯიშებს რა სტატუსით ესწრებოდით?

— მე ნიკას პირადი მწვრთნელი ვარ და ნებისმიერ ვარჯიშზე შემეძლო შესვლა და ყურება. როცა გუნდის ვარჯიში არ იყო, მე და ნიკა ერთად მივდიოდით „ფინიქსის“ დარბაზში და მას ინდივიდუალურად ვავარჯიშებდი.

— მოდით, ნიკას ერთი ჩვეულებრივი დღე აღგვიწერეთ...

— თუ გუნდი ფინიქსში იყო, ყოველ დილით, 10-11 საათზე ვარჯიშობდა. ეს იყო მოკლე მეცადინეობა, დაახლოებით საათნახევარი გრძელდებოდა და ძირითადი დრო ტაქტიკურ მომზადებას მიჰქონდა.

— ფიზიკურად არ ემზადებოდნენ?

— არა, ნბა-ში გუნდებს დღეში ერთი ვარჯიში აქვთ, ისიც ხანმოკლე, ფიზიკურ მზადყოფნაზე კი თავად მოთამაშეები ზრუნავენ. თითქმის ყველას ჰყავს საკუთარი მწვრთნელი, რომელიც ყველგან თან დაჰყვება კალათბურთელს და ავარჯიშებს. ნიკასთვის ასეთი მწვრთნელი მე ვიყავი.

— დილის ვარჯიშის შემდეგ რას აკეთებდით?

— რამდენიმე მოთამაშე, ძირითადად სათადარიგოები და ისინი, რომლებსაც ფორმის აღდგენა სურდათ, გუნდის ვარჯიშის შემდეგ დარბაზში რჩებოდნენ. ნიკა ყოველთვის რჩებოდა და დამატებით 2 საათს ვავარჯიშებდი. ხშირად დარჩენილა ლეანდრო ბარბოსა, კურტ ტომასი, ბრაიან გრანტი და რამდენიმე სათადარიგო. ნიკა ყველა მათგანს უგებდა ერთი ერთზე. განსაკუთრებით საოცარი კი ის იყო, რაჯა ბელს შანსი რომ არ დაუტოვა. ბარბოსა კი გაწამებული ჰყავდა, რაზეც ბელი სულ დასცინოდა ბრაზილიელს — ამსიმაღლე კაცი გამთამაშებელს როგორ გიგებსო.

— ამის შემდეგ ალბათ ისვენებდით...

— კი, მაგრამ შეიძლებოდა, კარგა ხანს ვერ გამოვსულიყავით დარბაზიდან. ვარჯიშის ბოლოს ნიკას სამქულიანის რამდენიმე წერტილიდან 10 ბურთი ზედიზედ უნდა ჩაეგდო, თორემ მოედნიდან ფეხს ვერ გავადგავდით. 9 რომ ჩაეგდო და ბოლო გაეცუდებინა, ახლიდან იწყებდა.

— ასე ეგებ საღამომდე ვერ გამოგეღწიათ დარბაზიდან...

— არა, ნიკას ზუსტი მიზანის წყალობით მალევე მივდიოდით. მას უფრო აზიდვების გაკეთება არ სიამოვნებდა, რომელსაც თავისუფალ დროს, ნარდში ვუგებდი.

— ნარდს სად თამაშობდით?

— ვარჯიშის შემდეგ სადმე რესტორანში ვისადილებდით და მერე შინ ვბრუნდებოდით. თუ არ იძინებდა, ნარდის თამაში ვასწავლე და ვეჯიბრებოდი. ყველა წაგებაზე 10 აზიდვა უნდა გაეკეთებინა და რაც იქ ვიყავით, მე, ალბათ, 50-ზე მეტის გაკეთება არ მომიწია — ამ საქმით ძირითადად „ცქიტო“ იყო დაკავებული.

— საღამოსაც ვარჯიშობდით?

— რა თქმა უნდა. გუნდის წევრს როცა უნდა, მაშინ მივა „ფინიქსის“ დარბაზში და ივარჯიშებს. ჩვენც მოსაღამოებულზე იქ ვიყავით და ნიკას რაშიც უჭირდა, იმაში ვავარჯიშებდი. მერე გამოვდიოდით და კინოში ან სადმე ბარში ვატარებდით დროს.

— ნიკას თუ ცნობდნენ ქუჩაში?

— როგორ არა. სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ ცქიტიშვილი სათადარიგო იყო, გუნდშიც და ფანებშიც მას უდიდეს პატივს სცემდნენ. ის „ფინიქსის“ ყველა კალათბურთელს უყვარს. ყველა დარწმუნებულია მის შესაძლებლობებში და უკვირდათ, რატომ იჯდა იგი სკამზე. ქუჩაშიც არაერთხელ ყოფილა, რომ ვიღაც გოლიათი ზანგი მოსულა, ნიკასთვის მხარზე ხელი დაუკრავს და უთქვამს, ძალიან მაგარი ხარ და დიდ კალათბურთს ითამაშებო. მერე „ცქიტო“ მეუბნებოდა, ეს ძველი სელტიკელი იყო, ამას მეჯიქის „ლეიკერსში“ უთამაშია და ასე შემდეგ. ერთხელაც დალასში ვართ, რესტორანში და ორი ზანგის ქალი მოგვიახლოვდა, სურათი გადავიღოთო. რომ გაიგეს, ნიკას მწვრთნელი ვიყავი, ჩემთანაც გადაიღეს ფოტოები და ავტოგრაფები გამოგვართვეს. ცოტა ხანში უშველებელი ლიმუზინი მოდის დაცვით და ეს ქალები იქ სხდებიან. თურმე დაცვა რესტორანშიც ახლდა ამ მანდილოსნებს, მეზობელ მაგიდაზე მსხდარან. მერე გავიგე, რომ ისინი რომელიღაც უმსხვილესი კომპანიის მეპატრონეთა ცოლები იყვნენ, ისეთების, მთელს „ფინიქსს“ რომ იყიდიან და გაყიდიან. თავიდან რიგითი ფანები მეგონნენ, თურმე მილიარდელები ყოფილან და ძალიან გავოცდი, ასე ალალად და ბავშვივით რომ გაუხარდათ ცქიტიშვილის ნახვა.

— „ფინიქსის“ რომელიმე ვარსკვლავთან არ გქონდათ ურთიერთობა?

— როგორ არა, თითქმის ყველასთან. სტივ ნეშთან ძალიან დავახლოვდი, მან მე და ნიკა ვანკუვერში, თავის კემპზე მიგვიწვია. ივლისში წავალთ კანადაში და უკვე ცნობილია, რომ ნეშის იახტაზე ვიცხოვრებთ. ის კი არა, შესაძლებელია, ნბა-ს წლევანდელი სეზონის უძვირფასესი მოთამაშე თბილისში გვეწვიოს.

— ნეში თბილისში?

— საქმე თითქმის გაჩარხულია, რამდენიმე პირობის შესრულებაა საჭირო. პირველ რიგში, ცქიტიშვილი „ფინიქსში“ უნდა დარჩეს, თორემ სხვაგან თუ გადავიდა, ნეშთან კონტაქტი, გინდა, არ გინდა, გაწყდება.

— რატომ ჩამოგყავთ ნეში?

— უბრალოდ, სტუმრად. მე და ნიკას გვინდა, რამდენიმე დღით ჩამოვიყვანოთ და საქართველო დავათვალიერებინოთ.

— უკვე დაითანხმეთ?

— ნეშის თანხმობა აღარაა საჭირო, მთავარია, მისი ცოლი დავითანხმე. საქმე ისაა, რომ როცა სტივს ვუთხარი, საქართველოში უნდა გვეწვიოთო, ხელები აწია და მიპასუხა: თუ ჩემი ცოლი თანახმა იქნება, ჩათვალეთ, რომ საქმე მოგვარებულიყო. ჰოდა, „დალასთან“ მატჩის დროს მისი ცოლი დავლანდე, მივედი და საქართველოში დავპატიჟე. დიდი სიამოვნებით გეწვევით, ნიკას დიდ პატივს ვცემთ მეც და ჩემი მეუღლეცო.

— ნეშის მეუღლეს მანამდე იცნობდით?

— არამარტო ნეშის, არამედ სხვა ფინიქსელებისასაც. გუნდის ოჯახის წევრები და ახლობლები ერთ სექტორში ვისხედით ხოლმე, იქ ასეთი წესია და ამ სექტორს „ფამილარი“ ეწოდება.

— და თქვენ რომ არ ბაღთ ნიკას ოჯახის წევრი?

— ეს არცაა აუცილებელი. ვინაც მოთამაშე საშვს ფიცცებს, ისინი ამ ფამილარში“. გუნდის ყველა წევრს საშინაო თამაშებზე 3 ახლობლის დაპატიჟების უფლება აქვს, გასვლით მატჩებში კი — ორის. „ფამილარში“ იკრიბებიან მოთამაშეთა ცოლები, დედები, შეყვარებულები და ასე შემდეგ. მთელ „ფამილარს“ შესვენებებზე უფასო კვება აქვს. სახელდახელოდ გამოყოფილ კერძში უფასო კვებით ასევე სარგებლობენ პრესის წარმომადგენლები.

— ფამილარელებიდან ყველაზე ახლოს ვისთან იყავით?

— ბორის დიაუს ბიძაშვილთან, რომელიც „ჯორჯიან მაფიას“ მეძახდა.

— ეგ რატომ?

— ცოტა გრძელი ისტორიაა, მაგრამ მოკლედ ვიტყვი. დიაუს ბიძაშვილთან ხომ ვახლობლობდი და ერთხელაც მან ლოს ანჯელესში წამიყვანა მანქანით, „ფინიქსი“ „ლეიკერსს“ ეთამაშებოდა. მშვიდობიანად ჩავედით, ვუყურეთ მატჩს და უკან წამოვედით. ლოს ანჯელესს გამოვცდით თუ არა, საბურავი გაგვისკდა, კვირა იყო და არც ტექმოსახურების მანქანამ მოგვაკითხა, დღეს არ ვმუშაობთო. დავურეკე ნიკას, რომელმაც ფინიქსის რეისზე ბილეთი დამიჯავშნა და მითხრა, ნახევარ საათში ლოს ანჯელესის აეროპორტში უნდა იყოო. შუა ავტობანზე სად გინდა, ტაქსი რომ გაჩერო. გამახსენდა ერთი სომეხი ტაქსისტი, რომელმაც წინა დღეს მე და ნიკა ლოს ანჯელესის ერთ-ერთ რესტორანში მიგვიყვანა და თან ნომერი დავვიტოვა, თუ დაგჭირდეთ, თქვენთან გავჩნდებიო. ჰოდა, არტურას დავურეკე და 10 წუთში უკვე ჩვენთან იყო. რომ გაიგო, რეისზე მაგვიანდებოდა, მოძრაობის წესები დაარღვია, სისწრაფის ლიმიტსაც გადააჭარბა. და თვითმფრინავს მივუსწარით. ნახევარ საათში ფინიქსში ჩავფრინდი და გზაზე დარჩენილ დიაუს ბიძაშვილს დავურეკე. გადაირია კაცი, სუფთა მაფიოზი ხარო. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ არტურამ კაპიკი არ გამომართვა არც მე და არც ნიკას, წინა დღეს რომ მოგვემსახურა. სიმხეთში დაბადებული და გაზრდილი იყო და თბილისშიც არაერთხაა ნამყოფი.

— ზემოთ თქვით, ნიკა „ფინიქსში“ თუ დარჩაო... განა კონტრაქტი არ დაუმთავრდა?

— მას 1+1-წლიანი კონტრაქტი აქვს და 31 ივლისამდე უნდა თქვას „ფინიქსმა“, იტოვებს თუ არა მას. ეს ის შემთხვევაა, როცა კლუბი წყვეტს ყველაფერს.

— თუ არ დაიტოვეს?

— ცქიტიშვილის აყვანის სურვილი უკვე გამოთქვა „სან ანტონიომ“ და „შარლოტმა“. არ ვიცი, რას იზამს „ფინიქსი“, მაგრამ რომც გაუშვას „ცქიტო“, ის უგუნდოდ მაინც არ დარჩება. „შარლოტი“ კარგი ვარიანტია, რადგან ეს კლუბი შედარებით სუსტი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული და ნიკას თამაშის უკეთესი შანსი ექნება, ვიდრე „სან ანტონიოში“.

— ამერიკაში როდის ბრუნდებით?

— პარასკევს დავბრუნდები და ნიკას ახალი სეზონისთვის მოსამზადებლად დავეხმარები.

ირაკლი პერტაია

ბობ სკინსტადი: ქართველებმა უმოწყალოდ გვბოჭეს

„სადაც მოვხვდები, ყველგან ვიტყვი, რომ საქართველოსნაირ ქვეყანაში ჯერ არ ვყოფილვარ. არადა, ნახევარი მსოფლიო მაქვს მოვლილი და კიდევ ბევრგან ვაპირებ ჩასვლას. აქაური მასპინძლობა, პატივისცემა და რაც მთავარია, კაცური თამაში არასდროს დამავიწყდება " — ეს სიტყვები ვინმეს კი არა, სამხრეთაფრიკელ ბობ სკინსტადს ეკუთვნის, ვინც რამდენიმე დღის წინ „ბარბაროსებს" ახლდა თბილისში და ეს ინტერვიუ ინგლისში გაფრენის წინ ჩამოვართვით.

30 წლის ბობ სკინსტადი ახლა ინგლისის „რიჩმონდში" თამაშობს, ხოლო სანამ ბებერ კონტინენტზე გადმობარგდებოდა, სამხრეთ აფრიკის ნაკრებში 34 მატჩში 10 ლელოს გატანა მოასწრო და 1999 წლის მსოფლიოს თასზე 23 წლისამ უკაპიტნა ნახევარფინალამდე მისულ და იქ მომავალ ჩემპიონ ავსტრალიელ „ვოლაბებთან" ბრძოლაში დამარცხებულ აფრიკელ „ქურციკებს". 193-სანტიმეტრიანი მორკინალი თავისი დროის ერთ-ერთ უძლიერეს მესამეხაზელად აღიარეს. მისით ამაყობს დასავლეთი კონცხი და ზე-14-ის „შტორმერზი". ქართველებთან ჯახის ჩათვლით „ბარბაროსებს" ხუთ ბრძოლაში გაუძღვა და ხუთივე მოედნიდან მოგებული გამოვიდა. „ბარბაროსები" ამბობენ, ჩვენი სიმბოლოაო. ბოლო ხანს ბიზნესითაა დაკავებული, თან შოუ-რაგბით ხალისობს

ლეგენდა-მორკინალმა საქართველოდან ისტორია და ღვინო წაიღო

— თბილისში რომ ჩამოხვედით, იმ დილით აეროპორტში გვითხარი, მეგობრებმა გამაფრთხილეს, საქართველოში ფრთხილად იყავიო. მაშინ არ დააკონკრეტეთ, ახლა თუ გვეტყვით, რას უფრთხოდით?

— თბილისში გამოფრენამდე ჩემს კარგ ნაცნობებს დენი როსოუს და ხიო კრონხეს დავურეკე. ვიცოდი, რომ „ბლუ-ბულზთან" ერთად ორი წლის წინ იყვნენ თბილისში. მითხრეს კოხტა ქვეყანააო, მაგრამ გამაფრთხილეს, სმაში არ აჰყვე, თორემ შეიძლება ვერც ჩამოაღწიოო. ახლა დავრწმუნდი, რომ მართლაც ასეა.

— თუმც გუნდს კახეთში არ გაჰყევით, სადაც ყველაზე მეტი ღვინო დაილია...

— იქ წასვლის თავი აღარ მქონდა. წინა ღამით ირლანდიურ ბარში ვიყავით და ზედმეტი ლუდი მოგვვიდა. ცოტა ვისკიც გავურიე და დილით თავი ვეღარ ავწიე. ქართული ღვინო მანამდე გავსინჯე, ძალიან მომეწონა „საფერავი" და ქართული კონიაკი, სამწუხაროდ, სახელს ვერ ვიხსენებ, ორორი ბოთლი ყველაფერი მიმაქვს სამშობლოში. საერთოდ, მორაგბეები ღვინის მოყვარულები არ ვართ, ძირითადად ლუდს ვსვამთ, ხანდახან ვისკით, მაგრამ პირველ დღეს ისე მომეწონა თქვენებური შავი ღვინო, რომ, კარგად მახსოვს, მარტომ დავლიე სამი ბოთლი. მატჩის შემდგომ ბანკეტზეც ღვინით დავიწყე, მაგრამ მერე ტრადიციულად ლუდზე გადავედი.

— ბევრს სვამთ?

— გაჩნია, როგორ ხასიათზე ვარ. შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ წაგებული მატჩის მერე უფრო ვთვრები. ბოღმით ბევრს ვსვამ, კარგ ხასიათზე როცა ვარ, ხუთი-ექვსი კათხა კარგი ლუდი და ორი-სამი ჭიქა ვისკი ნორმაა. მერე ვცდილობ და შიდა დისკოთეკაზე ან ღამის კლუბში გავაგრძელო მოლხენა.

— თბილისში თუ მოულხინეთ ასე?

— არა, ამის დრო არ გვქონდა. აქედან სულ სხვა შთაბეჭდილებებით მივდივარ. მომეწონა მცხეთა. ჯვრის მონასტრით აღფრთოვანებული დავრჩი, ან რა ხედი იშლება იქიდან?! მოკლედ, დისკოთეკებზე სიარულს ყოველთვის მოვასწრებ, ასეთ ძეგლებს კი, ალბათ, იშვიათად ვნახავ.

— სარაგბო ამბავში როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?

— ძალიან გამიკვირდება, თუ საქართველოს ნაკრები მსოფლიოს თასზე ერთ მატჩს მაინც ვერ მოიგებს. ვიცოდი, რომ ფიზიკურად მაგრად იყვნენ, მაგრამ მათგან ასე ხელდახელ თამაშს ნამდვილად არ ველოდი... დიდი შანსი იყო, მატჩი წაგვეგო კიდეც.

— ამიტომაც ხომ არ ანერვიულდით? მეტოქესთან შეხლა-შემოხლას ვგულისხმობ...

— ვინც მიცნობს, ვერ იტყვის, რომ „ბინძური" მოთამაშე ვარ. რაგბიში მირტყმა-მორტყმა და ერთი-ორი მუჯლუგუნი მოსულა, ეს არ ნიშნავს, რომ ჯენტლმენურად არ იქცევი. მატჩისას მართლაც ავნერვიულდი, თქვენების ასეთ კარგ თამაშს არ ველოდი. ამას ისიც დაემატა, რომ ქართველები ყველა ვითარებაში უმოწყალოდ გვბოჭავდნენ, რაღაც მომენტში ხურდა იყო დასაბრუნებელი... თუმც დამიჯერეთ, რომ ჩხუბი არ იქნებოდა. არ არის ეს ჩვენი, „ბარბაროსული" წესი. შეხლა-შემოხლა კი რაგბის განუყოფელი ნაწილია.

— საგაისო მსოფლიოს თასზე სამხრეთ აფრიკა ჩემპიონობის ფავორიტია?

— ბოლო ხუთი-ექვსი წელიწადია, ჩვენებს ასეთი ნაკრები არ ჰყოლიათ. აქამდე გუნდში სულ რაღაც პრობლემა იყო, მწვრთნელთა ხშირი ცვლა, ერთი ტაქტიკიდან უცებ მეორეზე გადაწყობა, მოდა, ინტრიგები... ამ ყველაფერმა ნაკრებზე ძალიან ცუდად იმოქმედა, თანაც მეტოქეების აღზევებაც დაემთხვა და სამხრეთ აფრიკამ პოზიციები დათმო. ახლა გუნდი აღმავლობის გზაზეა და როგორც აფრიკელს კი არა, როგორც სპეციალისტს მჯერა, რომ სამხრეთ აფრიკა მსოფლიოს თასს ისევ მოიგებს.

— სხვა ფავორიტები?

— ალბათ, ახალი ზელანდია და საფრანგეთი, წარმოიდგინეთ, ტანა მამა წაიდა, მაგრამ გუნდს მაინცდამაინც არ დასტყობია. საფრანგეთი კი ტაქტიკური მანქანაა, საათივითაა აწყობილი. ინგლისი, ალბათ, ვეღარ შეძლებს თასისთვის ბრძოლას, ავსტრალია კი ადვილად გასაშიფრი გახდა.

ბაჩო სვანიძე

ღია წერილი ბიძინა ივანიშვილს

მინდა შევატყობინო საქართველოს საზოგადოებას, რომ ბოტანიკური ბაღის დირექციამ ქ-ნი მანანა ელბაქიძის და ბ-ნი ჯიმშერ კერესელიძის მეთაურობით ჩაუკეტეს ქართველ მთამსვლელებს სავარჯიშო კლდე.

ახლა ცოტა უფრო დაწვრილებით. ბევრმა თბილისელმა კარგად იცის სოლოლაკის ზევით განლაგებული ბოტანიკური ბაღის მცირე შესასვლელი, საიდანაც მოსახლეობა ბოტანიკურ ბაღში დადიოდა. ბევრმა ისიც კარგად იცის, რომ ამ გზის გამოყენებით შეიძლება მისვლა ცნობილ „25 მეტრიან მთამსვლელების სავარჯიშო კლდესთან". ეს არის ულამაზესი პატარა ადგილი ვერტიკალური კედლით, წყაროთი და ტყით. აქ ვარჯიშობდნენ გიორგი ნიკოლაძე, ალექსანდრე ჯაფარიძე, მიხეილ ხერგიანი. აქ, 90 წელზე მეტია ვარჯიშობენ ახალგაზრდა თუ გამოცდილი მთამსვლელები.

2005 წლის შემოდგომიდან შესასვლელზე გაკეთდა ახალი, რკინის ღობე, რომელსაც გაუკეთეს რკინის კარი. ამ კარს მაშინ არავინ კეტავდა. მიუხედავად ამისა, მაინც მოვინახულე მაშინდელი დირექტორი ჯიმშერ კერესელიძე, რომელმაც ყველანაირად აღმითქვა, რომ მთამსვლელებს ხელი არ შეეშლებათ. შედგა ასევე მოლაპარაკება მოვარჯიშეთა სიების შედგენაზე, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ამოქმედდებოდა და ბოტანიკური ბაღის დირექციისთვის დახმარე დოკუმენტი იქნებოდა მთამსვლელთა ბაღში შეშვების გასამარტივებლად.

ბოტანიკური ბაღის დირექციასთან ასეთივე დამოკიდებულება შენარჩუნდა 2006-ის გაზაფხულზეც, როდესაც დაინიშნა ახალი დირექტორი ქ-ნ მანანა ელბაქიძე. ახალი ხელმძღვანელობა შეეცადა ყველანაირად თბილი და ადამიანი ურთიერთობა შეენარჩუნებინა მიუხედავად იმისა, რომ დაცვის ცალკეულმა თანამშრომლებმა ცადეს პრობლემების შექმნა... ივნისის დასაწყისში დირექციას გადაეცა სიები, რომელთა მიხედვით შეიძლებოდა სრული წესრიგის დაცვით გაგრძელებულიყო მთამსვლელთა სავარჯიშო ციკლი.

მიუხედავად ამისა, 12 ივნისს სავარჯიშოდ მისულ მთამსვლელებს სრულიად მოულოდნელად კარი დაკეტილი დახვდათ. ჩვენი გაფრთხილების. გარეშე, ყოველგვარი მიზეზის დასახელების გარეშე, მუხანათურად (ფაქტიურად წინა დღეს, სულ სხვანაირად ლაპარაკობდნენ და დაპირებებს იძლეოდნენ) კერესელიძემ და ელბაქიძემ ჩაკეტინეს კარი.

ჩვენ არ ვეძებთ მიზეზებს, ჩვენ არ ვეძებთ დამნაშავეებს!

ჩვენ მივმართავთ ამ ორ პიროვნებას:

გახსენით გზა, ხელს ნუ უშლით მთამსვლელებს, ხელს ნუ უშლით ახალგაზრდობას, ხელს ნუ უშლით საქართველოს.

ორიოდე ძალიან მნიშვნელოვანი სიტყვაც. ყველამ იცის თბილისში, რომ ყოფილი „კომკავშირის ხეივნის" ტერიტორიაზე იშენებს უზარმაზარ შენობას ყველასთვის კარგად ცნობილი ბიძინა ივანიშვილი. სწორედ მისმა მშენებლებმა ააგეს რკინის ღობეც და კარებიც. სწორედ ამ მშენებლობის დაცვამ ჩაკეტა ეს კარები ახლაც. გამომდინარე იქიდან, რომ ბევრი კარგი გვაქვს გაგონილი ბიძინა ივანიშვილის საქმიანობის შესახებ, ამიტომ მივმართავ მას:

ბატონო ბიძინა, ბოტანიკური ბაღის დირექცია ყველანაირად ცდილობს დამალოს, რომ კარის დაკეტვა დაკავშირებულია თქვენს ახალ მშენებარე ობიექტთან. არადა, სწორედ თქვენი დაცვა კეტავს კარს და აკონტროლებს სიტუაციას.

თუმცა, ბოტანიკური ბაღის დირექციის ზურგს უკან დამალვა უპერსპექტივო საქმეა და ბოლოს, ყველაფერი გაირკვევა.

ისე საკითხავია, ვის რა გაუჭირდა ისეთი ან ბოტანიკური ბაღის დირექციაში ან ამხელა შენობის მშენებლობაზე, რომ მთამსვლელებს ბილიკი გადაუკეტეს? ბატონო ბიძინა, თუ თქვენ არ ხართ საქმის კურსში, გთხოვთ, გაერკვიეთ და კიდევ ერთხელ დაამტკიცოთ, რომ არის ადამიანი, ვინც დიდმა ფულმა ვერ გააფუჭა. აბსოლუტურად ყველას ვისთანაც საუბარი მომიწია ამ დღეებში ჯერა, რომ თქვენ არაფერი იცით და როგორც კი გაიგებთ, მაშინვე აღკვეთავთ უსამართლობას. გთხოვთ გაერკვიეთ და თუ ბოტანიკურს დირექციას და რაკი ზოგიერთ თქვენი დაცვის თანამშრომელს აღარ ესმის უბრალოდ ადამიანებისა, მაშინ თქვენ გაუხსენით თქვენს ტერიტორიაზე გზა მთამსვლელებს, გაუხსენით გზა ახალგაზრდებს, გაუხსენით გზა საქართველოს.

ზურაბ ძუძაცა
ახალგაზრდა ალპინისტური სკოლა

P.S. ამ წერილს მხარს უჭერს ახალგაზრდა ალპინისტური სკოლის (სკოლა 10 წელზე მეტია არსებობს) 100-მდე წევრი და ე.წ. „თავისუფალი მოვარჯიშეები", რომლებმაც ქუჩას ჯანსაღი ცხოვრება არჩიეს

თიხის კაცმა არც ბალახი ჭამა



მეთიხნარე რაფაელ ნადალი ბალახსაფარსაც უშინაურდება

პირველის სულელურად წაგების შემდეგ ფიში მეორე სეტში სავსებით მოიშალა და საერთოდ ალარაფერი გამოსდიოდა. პირინეელმაც წყნარად გაინალდა მესამე წრის საგზური.

„პირველი მოგება ძალიან საჭირო იყო. ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და კარგია, რომ ეს შევძელი. ბალახზე კარგად თამაშს ვერასდროს ვახერხებდი, მაგრამ ოდესმე ხომ უნდა დავიწყო" — უხასიათობას არ უჩიოდა ნადალი ნამატჩევს.

სამაგიეროდ, გაუჭირდა გამარჯვება ბალახის სპეციალისტად აღიარებულ და დამდეგ უიმბლდონზე როჯერ ფედერერის უმთავრეს მეტოქედ მიჩნეულ ენდი როდიკს. ტრავმის გამო „როლან გაროსს" ნაადრევად გამომშვიდობებული ამერიკელი არცთუ დამაჯერებელი იყო თითქმის უცნობ ფრანკ დანსევიჩთან. ენდი-ბოიმ ბევრი კი იწვალა, მაგრამ შემდეგ წრეში გაღწევა მაინც შეძლო.

დამაჯერებლობა აკლდა კიდევ ერთ „მობალახეს" — ლეიტონ ჰიუიტსაც. მას სამი სეტი დასჭირდა ფერნანდო ვისენტეს წინააღმდეგობის დასაძლევად.

ალბათ, ბოლო სეზონს ატარებს ტიმ ჰენმანი და უნდა, თავის ბოლო უიმბლდონს კარგ ფორმაში შეხვდეს — ვეტერანი ბრიტანელი ჯერჯერობით მართლაც რომ სოლიდურად გამოიყურება და თანამემამულეებსაც გულს უხარებს.

ბოლოს, მორიგი, რიგით მეოთხე უიმბლდონისკენ წარმატებით სდაიძრა ჩოგბურთის პირველკაცი. როჯერ ფედერერი ცოტა მძიმედ კი გამოიყურებოდა როჰან ბოჰანასთან პირველ სეტში, მაგრამ ნელ-ნელა მოუმატა და მატჩის მიწურულს თავის თავს დაემსგავსა. „ფინალის შემდეგ უძნელესია სხვა რამეზე კონცენტრირება, მაგრამ სხვა რა გზა მაქვს — მომავალზე უნდა ვიფიქრო. ცოტა ძნელი კია უმალვე ბალახზე გადმორთვა, თუმც ესეც დავძლიე" — ცოტათი სევდიანი იყო „მხიარული როჯერი".

კაცები
ჰალე. გერმანია. ბალახი
საპრიზო 800 000 $

პირველი წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — როჰან ბოპანა (ინდოეთი) 7:6 6:2; **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — კრისტიან პლესი (დანია) 7:5 6:3; **ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი) — ბორის პაშანსკი (სერბეთი) 7:5 6:2

მეორე წრე

კრისტოფ ვლიგენი (ბელგია) — მარკო ჩიდინელი (შვეიცარია) 7:6 6:0; **ფლორიან მაიერი** (გერმანია) — იარკო ნიემინენი (3, ფინეთი) 6:4 3:6 6:4

კაცები
„სტელა არტუა" (ქუინს კლაბი)
ინგლისი. ბალახი
საპრიზო 800 000 $

მეორე წრე

რაფაელ ნადალი (1, ესპანეთი) — მარდი ფიში (აშშ) 7:6 6:1; **ლეიტონ ჰიუიტი** (8, ავსტრალია) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 4:6 6:4 6:2; **იუ-ცუ ვანგი** (ტაივანი) — ნიკოლაი დავიდენკო (4, რუსეთი) 2:6 6:3 6:1; **დმიტრი ტურსუნოვი** (15, რუსეთი) — დანაი უდომჩოკე (ტაილანდი) 6:3 2:6 6:2; **ტიმ ჰენმანი** (ბრიტანეთი) — რამონ დელგადო (პარაგვაი) 6:2 6:4; **პარადორნ შრიჩაპანი** (16, ტაილანდი) — იენ-ჰსუნ ლი (ტაივანი) 6:3 5:7 6:4; **ენდი როდიკი** (3, აშშ) — ფრანკ დანსევიჩი (კანადა) 2:6 6:4 6:3; **ივან ლიუბიჩიჩი** (2, ხორვატია) — რაზვან საბაუ (რუმინეთი) 6:2 7:6

ბრუნტი აღარ არის? რა პრობლემაა! რაფაელ ნადალს ბალახზეც შეუძლია მოგება. ესპანელი მაჩო ახალმა საფარმაც ვერ დააბრკოლა, კვლავაც აგრძელებს წაუგებელ სერიას. ნადალს ბალახზე თამაში ძალიან კი უჭირს, მაგრამ ამ ნაკლის გამოსასწორებლად ბევრს მუშაობს და როგორც ჩანს, ნელ-ნელა რაღაც გამოსდის კიდეც. ერთი მოგებით ძნელია დასკვნების გაკეთება და უიმბლდონზე 20 წლის პირინეელის ფავორიტობაზე ლაპარაკი, მაგრამ მარდი ფიშთან ნაჩვენები თამაშით ნადალმა დაამტკიცა, რომ ის არც მთლად ჯაბანია ბალახზე და ბევრის გამწარება აქაც შეუძლია.

შეხვედრის პირველი სეტი საკმაოდ დაძაბულად წარიმართა — ნადალიცა და ფიშიც თავიანთ მოწოდებაზე უნაკლოდ თამაშობდნენ და საქმე ტაიბრეიკამდე ისე მივიდა, რომ რომელიმეს ბრეიკ-პოინტიც კი არ ჰქონია. მაგრამ აქ ამერიკელმა რატომღაც ცრუჯადოსნობა, უფრო კი მასხარობა დაიწყო და კორტზე რაღაც გაუგებარს აკეთებდა. სამაგიეროდ, მშვიდად იყო ესპანელი, რომელმაც შანსი შეირგო და დაწინაურდა კიდეც.

ბაჩა ლომაშვილი

ჰლეი ოფი 2006. ფინალი

„ედმონტონის" მეკარე იუსი მარკანენი
საკუთარი გუნდის სამსახურში თავს არ ზოგავს

AFP

მენავთობეებს საწვავი არ ელევათ

15 ივნისი

კაროლინა 3:2 ედმონტონი

კაროლინა 3:4 ედმონტონი
2:3 1:0 0:0 0:1

0:1 პიზანი (1), 1:1 სტაალი (6), 2:1 უიტნი (11), 2:2 ჰემსკი (14), 2:3 პეკა (20), 3:3 სტაალი (30), 3:4 პიზანი

როდესაც ოვერტაიმის მეოთხე წუთზე მსაჯებმა ედმონტონელი სტივ სტეიოსი დააჯარიმეს და მასპინძლებს რიცხვმრავლობის გათამაშების საშუალება მიეცათ, ალბათ „კაროლინას" უკლებლივ ყველა ფანმა წამების ათვლა დაიწყო. ისინი ელოდნენ, რამდენ ხანში გაიტანდა მათი გუნდი გადამწყვეტ გოლს და ნანატრ თასს მოუტანდა სადღაც ჩრდილოეთ კაროლინას შტატში გადაკარგულ პატარა ქალაქ როლის. მით უმეტეს, რომ აქამდე „ქარიშხლები" ერთობ კარგად თამაშობდნენ რიცხობრივ უპირატესობაში და ამ თამაშშიც სამივე გოლი ასეთ სიტუაციაში გაიტანეს. პრაქტიკულად სწორედ ეს ფაქტორი იყო მათი წარმატების მთავარი საწინდარი. ცხადია, ამ მომენტში ყინულზე მასპინძელთა საუკეთესო ძალები გამოვიდა, დაიწყო და...

ერიკ სტილმანმა, კაცმა რომელმაც ბევრად განაპირობა გუნდის მოგება წინა მატჩში, საბედისწერო შეცდომა დაუშვა. მისი უშნო პასი „ედმონტონის" ფორვარდმა ფერნანდო პიზანიმ ჩაჭრა და მარტოდმარტო გაქანდა მეტოქის კარისკენ. ორიოდე წამიც და პირთამდე შევსებულმა „ერბისი სენთერმა" ერთხმად ამოიოხრა. პიზანმა შანსი არ გააცუდა, ზუსტად მოათავსა შაიბა კემ უორდის კარის ზედა კუთხეში, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ფინალური სერია მინიმუმ კიდევ ერთი მატჩით გაგრძელდებოდა.

სამველ ლარიბიანი

კომპენსაციაც, ლიცენზიაც
მსროლელები თავისას ითხოვენ

საქართველოს ტყვიის მსროლელთა ეროვნული ფედერაცია საერთაშორისო ფედერაციისგან პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიას და საკომპენსაციო თანხას ითხოვს. შეგახსენებთ, რომ ახლახან მილანში გამართულ მსოფლიოს თასზე ჩასულ ჩვენს ნაკრებს სროლის ნება არ დართეს. მიზეზად ქართული მხარის უყურადღებობა დასახელდა — განაცხადი არ გამოგიგზავნიათო, ამტკიცებდნენ სროლის მთავრკაცები, მაგრამ როცა მიხვდნენ, რომ სცოდავდნენ, ბოდიში მოიხადეს. ამ დროს ტურნირი უკვე დაწყებული იყო და იარაღის მომარჯვება მხოლოდ ნინო სალუქვაძემ მოასწრო, დანარჩენებს კი მაყურებლობა მოუწიათ.

„მსგავსი გაუგებრობა არათუ ჩვენ, საერთოდ, არავის შეჰქმნია — გვითხრა გუშინ სალუქვაძემ — საერთაშორისო ფედერაციის შეცდომის გამო უმიზეზოდ დავისაჯეთ, აღარაფერს ვამბობს იმ თანხებზე, გუნდის იტალიაში გამგზავრებას რომ დასჭირდა. ამიტომ პეკინის ლიცენზიას და კომპენსაციას მათგან უკვე ოფიციალურად მოვითხოვთ. მტკიცებულებაც ხელში გვაქვს. საერთაშორისო ფედერაციის ჩინოსნებმა შეცდომა აღიარეს და ფურცელზეც დაადასტურეს. თბილისში ჩამოსვლისთანავე იურისტებს მივმართეთ და გადაწყვეტილებაც მივიღეთ. სავარაუდოდ, პასუხს ორ კვირაში ველით."

ოთარ მაღლაკელიძე

ერთი ტურნირი ორი ჩემპიონით

ბილიარდის კლუბ „იმპერიალში" ზაზა დარასელის ხსოვნის ტურნირი ჩატარდა. ცნობილი ტელეჟურნალისტის ოჯახის მიერ ორგანიზებული შეჯიბრი უკვე მეორე წელია, იმართება, ზაზას დაბადების დღის, 20 ივნისის წინა დღეებში. ამჯერად ორგანიზატორებმა სოლიდური საპრიზო ფონდი, 2 500 დოლარი ორად გაყვეს და პარალელურად ორი ტურნირი ჩაატარეს. პირველში ჟურნალისტები პულში გაეჯიბრნენ ერთმანეთს, მეორეში კი პროფესიონალები პირამიდაში.

ჟურნალისტებში ყველას „თი-ბი-სი TV ჯგუფის" წევრმა ბექა ჯგუბურიამ აჯობა და „ზაზას თასთან" ერთად საჩემპიონო 600 დოლარიც მიიღო. ფინალისტ გიორგი გეგუჩაძეს („არგუმენტი ი ფაქტი") 400 დოლარი ერგო, ხოლო მესამე ადგილზე გასულ გიორგი კოლუაშვილს 250.

პროფესიონალ მობილიარდეებში საპრიზო თანხა ანალოგიურად გადანაწილდა. ჩემპიონი გიორგი ტიზლიარიშვილი გახდა, რომელმაც ფინალში გიორგი ჭეხაშვილს იოლად სძლია, მესამეზე კი გელა ბერიაშვილი გავიდა.

ჩემპიონ-პრიზიორები დარასელის მეუღლემ რუსუდან კრევალიშვილმა დააჯილდოვა, მათთან ერთად ტურნირის ყველა მონაწილეს მადლობა გადაუხადა ზაზა დარასელის სახელის დაფასებისთვის და ერთი წლით დაემშვიდობა.

ოთარ მაღლაკელიძე

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge